ნინო ერემაშვილი
ლევან აცვლედიანი
დავით ლოსაბერიძე
თამარ რუხაძე

მასწავლებლის წიგნი

თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან

სამოქალაქო განათლების დამხმარე
სახელმძღვანელო IX კლასისათვის

USAID
ამერიკელი ხალხისგან

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან

მასწავლებლის წიგნი

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო IX კლასისათვის, მესამე გამოცემა

სახელმძღვანელოს მესამე გამოცემა დაიბეჭდა
შპს „სეზანში“

ავტორები:
ნინო ერემაშვილი
ლევან ახვლედიანი
დავით ლოსაბერიძე
თამარ რუხაძე

კონსულტანტი:
ნინო გვარამაძე

რედაქტორი: **რიტა ბაინდურაშვილი**
დიზაინერი: **მართა თაბუკაშვილი**
დამკაბადონებელი: **თორნიკე ლორთქიფანიძე**

© Project Harmony, Inc., 2018
ყველა უფლება დაცულია

ISBN: 978-9941-8-0571-4

სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთ-პიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

წინასიტყვაობა

2010-2014 წლებში ორგანიზაციის PH International მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა“ განხორციელდა.

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხის გაუმ-ჯობესება და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო განათლების სწავლებისათვის ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო შეიქმნა, ჩატარდა პედაგოგთა ტრენინგები, ჩამოყალიბდა სასკოლო სამოქალაქო კლუბები, მცირე გრანტები გაიცა მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა სამოქალაქო ინიციატივებისათვის, დაფუძნდა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, სამოქალაქო განათლების საზაფხულო ბანაკები მოეწყო, შეიქმნა სამოქალაქო განათლებისა და სამოქალაქო ინიციატივების ორი ვებპორტალი www.civics.ge და www.initiatives.ge, სოციალურ მედიაში ჩატარდა მოსწავლეთა ტრენინგები.

წინამდებარე სახელმძღვანელო ერთ-ერთია იმ დამხმარე სახელმძღვანელოების სერიიდან, რომლებიც პროგრამის ფარგლებში შეიქმნა. სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა 2015 წელს შემუშავდა სამოქალაქო განათლების ახალი პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელიც, ასევე, ორგანიზაციის PH International მიერ ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. ამჯერად გთავაზობთ ამავე პროგრამის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოს მესამე გამოცემას, რომელიც შედგენილია უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით. სახელმძღვანელო გამიზნულია პედაგოგებისათვის და შეიცავს ბევრ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას. მისი მეშვეობით პედაგოგები შეძლებენ, ხელი შეუწყონ მოსწავლეებს, გაკვეთილზე მიღებული ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში გამოიყენონ; მოიძიონ თანამოაზრეები და ითანამშრომლონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მათი თემისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად. სახელმძღვანელო მოსწავლეებს, ასევე, მიაწოდებს ინფორმაციას მედიის როლის შესახებ სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში. კარგი მოქალაქეობის პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელებით მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, როგორც ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასა და განვითარებაში.

მომავალი წარმატებების სურვილით,
მარინა უშვერიძე

სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ დირექტორი
PH International – საქართველო

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 5
როგორ გამოვიყენოთ წიგნი? 7
გამოყენებული მეთოდების აღწერა 8
სასარგებლო რჩევები 15

თემა 1 ადგილობრივი თვითმმართველობა – ისტორიული მიმოხილვა და დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება 19

თემა 2 თვითმმართველობის არსი და მნიშვნელობა, თვითმმართველობის სისტემა და საკანონმდებლო ბაზა საქართველოში 23

თემა 3 ადგილობრივი თვითმმართველობის მახასიათებლები და ძირითადი მიზნები 27

თემა 4 ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 33

თემა 5 მედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში 37

თემა 6 როგორ განვახორციელოთ თვითმმართველობა? 43

შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან 47
პროექტის შედეგების შეჯამება და ანალიზი 48

სასარგებლო რესურსები 1, ილია ჭავჭავაძე, „ცხოვრება და კანონი“ 49
სასარგებლო რესურსები 2, საქართველოს ორგანული კანონი – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სტრუქტურის მოკლე აღწერა 55
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კარების, თავებისა და მუხლების ჩამონათვალი 57
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გაფართოებული ამონარიდი 65

ტერმინთა ანბანური ლექსიკონი 90
გამოყენებული ლიტერატურა 98

შესავალი

მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია, მოსწავლეებმა ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა და ფუნქციები გააცნობიერონ; გაიგონ, როდის და რატომ უნდა მიმართონ ადგილობრივ თვითმმართველობას; გამოიმუშაონ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევები; იმ პრობლემების იდენტიფიცირება მოახდინონ, რომელთა გადაწყვეტაც ადგილობრივ თვითმმართველობას ხელეწიფება; შეადგინონ პროექტები და აღნიშნული პრობლემები თვითმმართველობასთან ერთად მოაგვარონ.

საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის დასამკვიდრებლად მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა სრულფასოვანი თვითმმართველობის დამკვიდრებამდე ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი წვლილის შეტანა აქტიურ მოქალაქეებსა და აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია.

სამოქალაქო აქტივობის პრინციპებში გარკვევის მიზნით ამავე სახელმძღვანელოს საშუალებით მოსწავლეები მედიის მუშაობის პრინციპებსაც გაეცნობიან; შეიტყობენ, როგორ შეძლებენ თავად ჟურნალისტებთან თანამშრომლობას. სახელმძღვანელოს ეს ნაწილი მოსწავლეებს დაეხმარება, გაიაზრონ: რა არის მედია და რისთვის გვჭირდება ის; რატომ არის სახელმწიფოსთვის გადამწყვეტი მედიის თავისუფლება, საერთოდ, რა როლი აქვს მას დემოკრატიულ საზოგადოებაში?

ახალგაზრდებმა უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები) და საკუთარი ქალაქის, დაბისა თუ სოფლისათვის ყველა ის სიკეთე მოიპოვონ, რაც კანონით არის განსაზღვრული მათთვის.

როგორ გამოვიყენოთ წიგნი?

სახელმძღვანელო ექვსი თემისაგან შედგება, რაც მთლიანობაში 12 გაკვეთილს, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთ შეხვედრას და ერთ შემაჯამებელ გაკვეთილს მოიცავს. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია თითოეული გაკვეთილის სავარაუდო სცენარი, გამოყენებული მეთოდების აღწერა. გაკვეთილები შედგება თეორიული ნაწილისგან, საკლასო სამუშაოებისგან და საშინაო დავალებებისგან.

თითოეული გაკვეთილის ბოლოს მოცემული საშინაო დავალებები მოსწავლეებს ერთი დიდი პროექტის განხორციელებაში დაეხმარება. ეს პროექტი, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და მედიასთან თანამშრომლობით, თქვენივე ქალაქის, დაბისა თუ სოფლის პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და მოგვარებისკენ არის მიმართული.

გაკვეთილებში დეტალურადაა ახსნილი, თუ რა არის ადგილობრივი თვითმმართველობა, რა მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნისათვის, ცალკეული მოქალაქისთვის და როგორ უნდა ითანამშრომლონ მოქალაქეებმა მასთან.

გაკვეთილებს თან ახლავს დანართები, რომლებიც მოსწავლეებს დავალებების მომზადებასა და პროექტის შექმნა-განხორციელებაში დაეხმარება.

წიგნში მოცემულია ასევე ლექსიკონი ტერმინთა განმარტებებით.

გისურვებთ წარმატებებს!

მამოყენებული მეთოდების აღწერა

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიში დროის მცირე მონაკვეთში მრავალგვარი იდეის გენერირების საშუალებას იძლევა. იგი დამოუკიდებლად ტარდება ან სხვა სავარჯიშოს ნაწილს წარმოადგენს. ამ მეთოდის გამოყენება თითოეული მოსწავლისგან ინდივიდუალურ აქტივობას მოითხოვს და საერთო პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტას განაპირობებს.

თემას მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს და შეკითხვის სახით ჩამოაყალიბებს მას. შეკითხვა მკაფიო უნდა იყოს და მოსწავლეთათვის გასაგებად მიწოდებული.

შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და გვთავაზობენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს. იდეების გენერირების დროს სასურველია, დავიცვათ შემდეგი პრინციპები:

1. მოსწავლეთა მიერ მოსაზრების გამოთქმის დროს დაუშვებელია კამათი, კრიტიკა ან შეფასება. უნდა ვიმუშაოთ პრინციპით: ყველა მოსაზრება ღირებულია;
2. აზრის გამოთქმა ნებაყოფლობითი და თავისუფალია. მოსწავლეებმა მოსაზრებები უნდა გამოთქვან, როცა თავად მოისურვებენ და არა მაშინ, როცა ამას მასწავლებელი მოითხოვს. იდეა შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ისე სხვისი იდეის განვითარების შედეგი;
3. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა გენერირების ეტაპის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს (შეფასების ეტაპი);
4. ყველა იდეა დაფაზე ან დიდ ქაღალდზე უნდა დაიწეროს (მათ შორის, ყველაზე მიუღებელიც კი);
5. შეფასების წინ მოსწავლეებს დაფიქრების საშუალება უნდა მიეცეთ;
6. იდეების გენერირების პერიოდის ხანგრძლივობა გაკვეთილის მსვლელობაზეა დამოკიდებული, თუმცა მასწავლებელმა შეიძლება, წინასწარაც განსაზღვროს იგი (რეკომენდებულია 2-დან 5 წუთამდე, თუმცა რთული საკითხის შემთხვევაში შესაძლოა – 20 წუთამდეც).

მასწავლებელმა აქტიური სამუშაოს მსვლელობისას უნდა განსაზღვროს, რამდენი ხნის შემდეგ დაიწყება შეფასების ეტაპი: მაშინვე თუ მომდევნო დღეს. ამ ხნის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები დაფაზე ან კედელზე გაკრულ დიდ ქაღალდზე უნდა ეწეროს.

იდეების შეფასების ეტაპის დაწყებისას საჭიროა მოსაზრებათა მოკლე მიმოხილვა. მსგავსი იდეები მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად უნდა განსაზღვრონ, დააჯგუფონ და განაზოგადონ.

მსგავსი იდეების გაერთიანების მერე შესაძლებელია მათ ავ-კარგიანობაზე მცირე დისკუსია, რომლის შემდეგაც იდეები მნიშვნელობის მიხედვით დახარისხდება. თითოეულ მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე, მისი აზრით,

ყველაზე ფასეული თემა ამოარჩიოს და მნიშვნელობის მიხედვით დაალაგოს (თავისი დამოკიდებულება გამოხატოს ქულებით).

ქულების შეჯამების შემდეგ 1, 3 ან 5 იდეა უნდა გამოიკვეთოს, რომელთაც უპირატესობას მიანიჭებს კლასი.

მასწავლებელს, გაკვეთილის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეუძლია, შეფასების ეტაპის მიმდინარეობა შეცვალოს, მაგ: ძირითადი აქცენტი გადაიტანოს თავად დისკუსიაზე, რომელიც სრულდება არა შეფასებით (ქულებით), არამედ მოსწავლეთა შეთანხმებით, მაგრამ ეს შეთანხმება ხელოვნური და თავსმოხვეული არ უნდა იყოს.

საკლასო დისკუსია

საკლასო დისკუსია ინტერაქტიული მეთოდიკის ერთ-ერთი ეფექტური ხერხია. იგი ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, როგორიცაა: აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტირება, მსჯელობა, სხვისი მოსმენა-გათვალისწინება, განსხვავებული აზრის გაზიარების უნარი.

დისკუსიის წარმატებით ჩატარებისთვის კლასში საჭიროა ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, სადაც, პირველ ყოვლისა, მასწავლებელი იქნება მისაბაძი მაგალითი.

დისკუსიის სწორად წარმართვისათვის მისი ორგანიზება და რეგულირებაა აუცილებელი. დისკუსიის მონაწილეებმა უნდა დაიცვან წესები, რომელსაც მასწავლებელთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ. წესების ჩამონათვალი ამგვარი შეიძლება იყოს:

1. როცა ერთი საუბრობს, სხვები უსმენენ;
2. აიწიეთ ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურთ;
3. არ გააწყვეტინოთ სიტყვა მოსაუბრეს;
4. არ გაიცინოთ, როცა სხვა საუბრობს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ხუმრობს;
5. კამათში მონაწილეობს ყველა;
6. და სხვა წესები (რასაც კლასი დამატებით შემოგვთავაზებს)

დისკუსია იწყება მოტივაციით, რომელიც გულისხმობს:

პრობლემის დასმას ან კონკრეტული შემთხვევის აღწერას, ლექსის ან სიტუაციური ამოცანის წაკითხვას, ილუსტრაციების ჩვენებას, მელოდიების მოსმენას.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდებოდა, რომ...? რამ იქონია გავლენა? არის თუ არა ალტერნატივა?...

დისკუსიის მსვლელობა:

- იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გაკვეთილზე ხმაური და ქაოსი, თითოეულ მონაწილეს უნდა ჰქონდეს წამყვანის, მასწავლებლის ან კლასის მიერ არჩეული ლიდერის ნებართვით გამოსვლის შესაძლებლობა;
- გამომსვლელმა უნდა დაიცვას რეგლამენტი;
- დაუშვებელია მონაწილეებს შორის დაპირისპირება;
- დისკუსიის მონაწილეები უნდა შეეცადონ, თითოეული აზრი დასაბუთებული და ფაქტებით განმტკიცებული იყოს;

- თითოეულ მონაწილეს აზრის გამოთქმის საშუალება უნდა მიეცეს;
- თითოეული გამონათქვამი ყურადღებით უნდა იყოს განხილული;
- განხილვა კორექტულობას, ურთიერთპატივისცემას მოითხოვს;
- დაუშვებელია დამამცირებელი გამონათქვამები.

თუ დიალოგი დაიძაბა, მაშინ დისკუსია სამოქალაქო ღირებულებებზე დაყრდნობით უნდა წარიმართოს, მაგალითად: თუ მოსწავლეები მსჯელობენ ჩაცმის კულტურაზე, კერძოდ, სკოლაში გამომწვევი ჩაცმულობის აკრძალვაზე, კარგი იქნება, ჯერ გავარკვიოთ, მიაჩნიათ თუ არა მათ, რომ სკოლამ ამა თუ იმ საკითხზე მოსწავლის შეხედულება უნდა გაითვალისწინოს?

ყველა მოსწავლეს უფლება აქვს, გამოთქვას საკუთარი აზრი. დისკუსიის დროს ყურადღება სამოქალაქო ღირებულებებზე გაამახვილეთ და აღნიშნეთ – ვის აქვს გადაწყვეტილების გამოტანის უფლება.

გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ფორმები:

მრგვალი მაგიდა - საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4-5 კაცი) მონაწილეობს; აზრთა ურთიერთგაცვლა ხდება როგორც ერთმანეთთან, ასევე – კლასთან;

პანელური დისკუსია – ჯგუფს წინასწარ არჩეული ლიდერი ჰყავს. საკითხს დამოუკიდებლად განიხილავს ჯგუფი და შემდეგ წარუდგენს კლასს. თავისი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმის უფლება ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს;

ფორუმი – პანელურ დისკუსიას ჰგავს, რომლის დროსაც ჯგუფი აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას ახდენს კლასთან;

სიმპოზიუმი – მონაწილეები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ საკუთარ თვალსაზრისს გამოთქვამენ და უპასუხებენ კლასის შეკითხვებს.

დებატები

დებატები დისკუსიის ერთ-ერთი ფორმაა და მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზეა აგებული. წარმომადგენლებს ჯგუფიდან ირჩევენ. კამათი ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით იწყება. მათ შემდეგ კი ტრიბუნა თითოეული მხარის სხვა მონაწილეებს ეთმობა შეკითხვებისა და კომენტარებისთვის. მასწავლებელმა თითოეული გამომსვლელისთვის განსაზღვრული დრო უნდა დაადგინოს.

დებატების დაწყებამდე და მისი დასრულების შემდგომ, როგორც წესი, კლასის საერთო შეხედულება ფასდება, მაგალითად:

პოზიცია:	**დებატების დაწყებამდე**	**დებატების დასასრულს**
გამართლებულია		
გაუმართლებელია		
ზოგჯერ გამართლებულია, ზოგჯერ – გაუმართლებელი		

დებატების გამოყენება

მაგალითისთვის ავიღოთ სიკვდილით დასჯის თემა, რომელიც საკმაოდ აქტუალურია კულტურული, პოლიტიკური და, ზოგადად, ღირებულებითი თვალსაზრისით. ბუნებრივია, თემის გარშემო მოსწავლეები მრავალფეროვან ინფორმაციას მოიკვლევენ: ერთნი სიკვდილით დასჯის გამამართლებელ არგუმენტებს იპოვიან, მეორენი პირიქით – სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო არგუმენტებს. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ორივე გუნდის არგუმენტები საკუთარი პოზიციების დასაცავად გამოიყენოს მესამემ. ამ ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის მიუხედავად, აქტიური მეთოდებით ჩატარებული, ოცამდე თემის გავლის შემდეგ კლასი საკმაოდ გახსნილი და გულახდილი იქნება. ბავშვები პიროვნული ამბიციებისა და ახირებების მიხედვით კი არ აირჩევენ პასუხს, არამედ – არგუმენტებისა და კრიტერიუმების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

მასწავლებლის მისიაა, მოსწავლეებს დებატებით სწავლების სტრატეგია დაანახოს, შემეცნების იმ უაღრესად საინტერესო გზაზე „ამოგზაუროს“, სადაც ცოდნის, განცდის, ემოციისა და დამოკიდებულების სინთეზი მიიღწევა.

მაინც რა უპირატესობა აქვს დებატებს?

- დებატები სასწავლო პროცესის შესახებ ფიქრი და მასზე დაკვირვებაა. მოსწავლეებმა ბავშვობის ასაკიდან უამრავი რამ ისწავლეს. თავიდან ყველაფერი ერთი სიტყვის წარმოთქმით დაიწყო, შემდეგ ყველაფერი გამრავლდა და გაიშალა. დებატები არის ის საშუალება, რომელიც დასაშვებისა და დაუშვებლის, ნაწილისა და მთელის, სიტყვისა და საქმის პრინციპებს შეისწავლის, უკიდურესობებს გამოკვეთს და მსგავსება-განსხვავებებს წარმოაჩენს;
- დებატები ინფორმაციის მოპოვების ეფექტიანი მეთოდია. მოსწავლემ დებატებში წარმატებისთვის უამრავი ახალი მასალა უნდა მოიძიოს, აქტიურად უსმინოს ოპონენტის ინფორმაციას და დიალოგის წარმართვისთვის გამოიყენოს ის;
- დებატები იდეების ზედმეტი რისკის გარეშე შესწავლის საშუალებასაც იძლევა. ჩვეულებრივი კამათი შეიძლება, კონტროლს არ დაემორჩილოს, მაგრამ დებატებისას პროცესები სრულად კონტროლდება. თავდაპირველად, მოსწავლეებს წესები საკმაოდ მკაცრი და ძნელად დასაცველი ეჩვენებათ, მაგრამ მათ გარეშე სამართლიანობის შენარჩუნება და პირადი შეურაცხყოფის გამორიცხვა შეუძლებელია;
- დებატები კამათის ხელოვნების პრაქტიკულ გამოცდილებას გვაძლევს, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ასე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. დებატებისთვის საჭირო უნარები აუცილებელია როგორც პროფესიული განვითარებისთვის, ასევე, ზოგადად, სამოქალაქო ცხოვრებისთვის. ლოგიკურ მსჯელობაზე, დამამტკიცებელ მასალაზე, მაგალითებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნა, ანუ არგუმენტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, გარკვეულ პოზიციას ქმნის – მტკიცეს ან მერყევს.

T დიაგრამა

მასწავლებელმა ეს სქემა, შეიძლება, მრავალმხრივ გამოიყენოს. იგი ძალზე მოსახერხებელია საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად.

T სქემა საშუალებას გვაძლევს, წარმოვაჩინოთ დაპირისპირება განსახილველ საკითხებს (ფაქტებს, მოვლენებს, ადამიანებს, საგნებს და ა.შ.) შორის.

სავარჯიშო კარგია, ასევე, ინფორმაციის დასახარისხებლად (ვთქვათ, დადებითად და უარყოფითად) და დასაჯგუფებლად. სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად მასწავლებლის შეხედულებისამებრ – დაფაზე, რვეულში ან თაბახის ფურცელზე. ივსება ჯერ სქემის მარცხენა მხარე (5 წთ.), შემდეგ – მარჯვენა (5 წთ.).



პაუზებით კითხვა

პაუზებით კითხვა ტექსტის კითხვის ერთ-ერთი მეთოდია.

მასწავლებელი მხატვრულ ნაწარმოებს, საინფორმაციო/შემეცნებით ტექსტს, პუბლიცისტურ წერილს თუ სხვა სახის ტექსტს წინასწარ ნაწილებად ჰყოფს.

ყოველი ნაწილის წაკითხვის წინ იგი მოსწავლეებს მომზადებულ შეკითხვებს უსვამს.

მოსწავლეები ვარაუდობენ, თუ რაზე შეიძლება იყოს საუბარი ტექსტის წასაკითხ ნაწილში.

მასწავლებელი შეკითხვებით ცდილობს, აქცენტი ტექსტში განხილულ მნიშვნელოვან საკითხებზე გააკეთოს.

მეთოდი კითხვის დროს მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციას და ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას უწყობს ხელს; წასაკითხი ტექსტის მიმართ ინტერესს აღძრავს მოსწავლეებში.

პროექტები

პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო, რომელშიც წარმმართველი კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაა. ეს მეთოდი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლეოდა და იძლევა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? მასწავლებლებს უჭირთ ამ კითხვებზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხის გაცემა. ამ პრობლემის მოგვარებაში მასწავლებელს იმის ცოდნა დაეხმარება, თუ როგორ ამუშაოს მოსწავლეები სასწავლო პროექტზე. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები რეალური პრობლემის გადასაჭრელად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ. პროექტით სწავლება მოსწავლეთა მოტივაციას იწვევს და მათ პასუხისმგებლობას ზრდის. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს და შეუძლიათ, ხანგრძლივად იმუშაონ დასმულ საკითხებზე.

საკითხებს მოსწავლეები ხანგრძლივი დროის (ერთი ან რამდენიმე კვირის) განმავლობაში ამუშავებენ და შემდგომ წარუდგენენ მთელ კლასს ან უფრო ფართო აუდიტორიას. პროექტები მოზარდს ეხმარება, მიღებული ცოდნა და გამოცდილება რეალურ ცხოვრებაში გამოიყენოს დასახული მიზნის მისაღწევად.

პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი (მაგ: წერილობითი დოკუმენტი, მაკეტი, ინსცენირება, დებატები, აქცია, თანმიმდევრული ღონისძიებები და ა.შ.).

მასწავლებელი სასწავლო პროექტების მიმდინარეობისას კონსულტანტის როლს ასრულებს, სამუშაოებს ხელმძღვანელობს, ძიებისა და კვლევის დროს მიმართულებას აძლევს. ასევე, იგი უთითებს ინფორმაციის წყაროებს.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეს სჭირდება შემოქმედებითობა, საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები.

სასწავლო პროექტის დაგეგმვის დროს მასწავლებელი ითვალისწინებს:

- რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც კვლევას ითხოვს;
- მოსალოდნელი შედეგების ნოვაციურობას (ობიექტურს ან სუბიექტურს);
- პროექტზე მუშაობის დროს გამოყენებული მეთოდების კავშირს კვლევასთან;
- არჩევანის საშუალების არსებობას, რაც ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას.

პროექტი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი საგნის ფარგლებში; რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია).

პროექტის იდეა, შესაძლოა, მასწავლებლისგან მოდიოდეს, თუმცა უფრო ფასეულია, როცა პროექტი ინიცირებულია მოსწავლეთა მიერ. ისინი დამოუკიდებლად ირჩევენ კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს, ხოლო მასწავლებელი მხოლოდ კონსულტანტის როლს ასრულებს.

პროექტის აღწერა

პროექტის აღწერა მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული პუნქტი, სასურველია, ქვეპუნქტებად დაიყოს, რომლებშიც შემდეგი სახის ინფორმაცია გაერთიანდება:

ა) **პრობლემის განსაზღვრა** (იდენტიფიკაცია) – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის ხაზგასმას, რომლის საპასუხოდაც მიმართულია თქვენი პროექტი;

ბ) **მიზანი** – გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ზემოაღწერილ პრობლემას ლოგიკურად დაუკავშირდება;

გ) **ამოცანები** – მიზნის მისაღწევად კონკრეტულ ნაბიჯებს გულისხმობს. აქ უნდა მიუთითოთ, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა;

დ) **განხორციელების გზები** - გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენ მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

1) „როგორ?“ – როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2) „ვინ?“ – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში და რა ფუნქციები აქვთ მათ პროექტში?

პროექტის შესრულების ვადები

უნდა შეიცავდეს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. პროექტის შესასრულებლად გასაწევი საქმიანობა მასში უნდა აისახოს დღეების, კვირების, თვეების მიხედვით ეტაპებად დაყოფილი, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მოსალოდნელი შედეგები

ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რომელიც პროექტის წარმატებით განხორციელებას მოჰყვება.

მონიტორინგი

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ, თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.

შეფასება

მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც თქვენი პროექტის წარმატებას განსაზღვრავს.

პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

პრობლემის იდენტიფიცირება
თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება
ინფორმაციის მოძიების უნარი
კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების უნარი
საზოგადოებასა და შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის უნარი
ჯგუფის შემოქმედებითი უნარი
მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციისა და ინტერპრეტაციის უნარი
კვლევის შედეგების ანალიზის უნარი
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება
გადაწყვეტილებების მიღება
წარმოდგენილი ნამუშევრის ორგანიზება
მოსწავლეების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები

სასარგებლო რჩევები

სამოქალაქო წიგნიერების განვითარება

(ბეჭდვით მასალაზე მუშაობა)

სამოქალაქო განათლების სწავლებისას ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ იყენებენ მოსწავლეები ნაბეჭდ მასალას სწავლის პროცესში – იქნება ეს სხვადასხვა ხასიათის სტატიები თუ საგაზეთო მასალა, პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლები, კანონთა ტექსტები და სხვა.

მასალის რაოდენობა და მრავალფეროვნება დამოკიდებულია მის ხელმისაწვდომობასა და დასამუშავებელი თემის მნიშვნელობაზე.

თითოეული სახის ბეჭდვითი მასალა გარკვეული, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა. მათი ანალიზიც სხვადასხვაგვარად ხორციელდება. თუმცა, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ შეკითხვების ჩამონათვალი, რომლებიც მათ დასამუშავებლად გამოიყენება, შეიძლება, ერთგვაროვანი იყოს.

შეკითხვები, რომლებიც გვეხმარება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტის დამუშავებაში:

1. **ვინ** არის დოკუმენტის ავტორი/ავტორები? ავტორის/ავტორების გარდა, დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობდა თუ არა სხვა პირი/პირები? რა იცით ამ ავტორის/ავტორების შესახებ? დამატებით რისი გაგება შეგიძლიათ ავტორის/ავტორების შესახებ შესასწავლი დოკუმენტიდან?
2. **როდის** შეიქმნა ან დაიწერა დოკუმენტი? შეიძლება თუ არა ამის დადგენა დოკუმენტის შინაარსზე დაყრდნობით? რა მნიშვნელობა აქვს დოკუმენტის შექმნის დროის დადგენას?
3. **სად** ჩაეყარა საფუძველი იმ მოვლენას/მოვლენებს, რომლის შესახებაც საუბარია დოკუმენტში? როგორ შეიძლება ამის დადგენა დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე? რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნული მოვლენის ადგილის განსაზღვრას?
4. **რა ფაქტებია** მოყვანილი დოკუმენტში? რა დასკვნები შეიძლება, გამოვიტანოთ ამ ფაქტების გაცნობის შემდეგ?
5. **რატომ** შეიქმნა ეს დოკუმენტი? რა იყო მისი შექმნის მიზეზი?
6. **როგორ** დაგეხმარათ დოკუმენტი, მეტი გაგეგოთ შესასწავლი მოვლენის/მოვლენების შესახებ?

მიუხედავად შეკითხვების ამგვარი უნიფიცირებისა, თითოეული ტიპის დოკუმენტს თავისი სპეციფიკა აქვს. ქვემოთ განვიხილავთ იურიდიული დოკუმენტების ანალიზის სპეციფიკას, რომელიც სამოქალაქო განათლების გაკვეთილების ეფექტიანად წარმართვისთვის გამოგვადგება. საუბარი გვექნება სამი სახის დოკუმენტზე – კონსტიტუციაზე, კოდექსსა და კანონზე:

კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია. ის ამკვიდრებს ქვეყნის მმართველობის ფორმას, იძლევა სოციალური და პოლიტიკური უფლებების გარანტიებს და პოლიტიკურ პრინციპებს განსაზღვრავს.

კოდექსი კანონებისა და წესების კრებულია, რომელიც განსაზღვრულ საზოგადოებრივ მოვლენას განეკუთვნება.

კანონი წარმოადგენს დებულებებს, რომელთაც კანონმდებლები შეიმუშავებენ და რომელიც ხელისუფლების და საზოგადოების ქმედებებს არეგულირებს კონკრეტულ სფეროში.

ეს სამი იურიდიული დოკუმენტი იერარქიულ სტრუქტურას ქმნის. ყოველი კანონი კონსტიტუციის კონკრეტულ დებულებას უნდა ეფუძნებოდეს და კონკრეტული კოდექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდეს.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი დოკუმენტების ანალიზიც მსგავსი მეთოდებით ხორციელდება. თუ მოსწავლეს ამ დოკუმენტების შესწავლას დავავალებთ, მან უნდა მოიძიოს და გააანალიზოს კონკრეტული დოკუმენტის წარმოშობის ისტორია, მისი მნიშვნელობა და იურიდიული განმარტება, მოხმარების სფერო და გამოყენების შედეგები.

დოკუმენტის წარმოშობის ისტორიული ანალიზი პასუხის გაცემას გულისხმობს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა:

- სად, როდის და როგორ პოლიტიკურ ვითარებაში შეიქმნა შესასწავლი დოკუმენტი?

- ჰყავდა თუ არა მას „წინამორბედები“?
- როგორი მიმართება არსებობს მასა და სხვა, ამავე პრობლემაზე არსებულ დოკუმენტებს შორის?
- ვინ მონაწილეობდა მის შექმნაში?
- ვინ იყვნენ დოკუმენტის მიღების მომხრეები და მოწინააღმდეგეები?
- რა მიზნით იქმნებოდა იგი?

დოკუმენტის მნიშვნელობის ანალიზის დროს, შესაძლებელია, შემდეგი კითხვები წარმოიშვას:

- დოკუმენტის შექმნის პროცესში რატომ გამოიყენეს შესაბამისი სტილი?
- როგორია დოკუმენტის ოფიციალური ინტერპრეტაცია, იცვლება თუ არა მისი მნიშვნელობა?
- რა ადგილი უკავია კონკრეტულ თავს ან რომელიმე დებულებას მთლიან დოკუმენტში?

დოკუმენტის თანამედროვე გამოყენებისთვის, შეიძლება, დაისვას შემდეგი კითხვები:

- როგორ გამოიყენებოდა აღნიშნული დოკუმენტი დღევანდლამდე?
- წარმოიშვა თუ არა რაიმე პრობლემა მისი გამოყენებისას?
- შეიცვალა თუ არა დოკუმენტი და თუ შეიცვალა – როგორ?
- რა პრობლემები იქმნება დღეს მისი გამოყენებისას?
- რა შესწორებები იქნა შეთავაზებული დოკუმენტის დასახვეწად?
- რა მიზეზი დაედო საფუძვლად ამ შესწორებებს?
- როგორია მოსწავლეთა აზრი დოკუმენტის და მისი გამოყენების შესახებ?

დოკუმენტების შესწავლისას, შესაძლებელია, სხვა მასალებიც გამოვიყენოთ: გამოკვლევები, პოლიტიკური გამოსვლები, საგაზეთო სტატიები და ინტერვიუები, სატელევიზიო გადაცემები, დებატები და სხვა.

მასწავლებელს შეუძლია ორგანიზება გაუწიოს მოსწავლეების უფრო დიდ პროექტში ჩართვას. ამ შემთხვევაში ცალკეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს შესასწავლად დიდი დოკუმენტის რომელიმე ერთი თავი ეძლევა. ამგვარად, მთელი დოკუმენტი გადანაწილდება კლასზე. დავალების დასრულების შემდეგ კი კლასის მიერ შესრულებული სამუშაო ისევ გაერთიანდება.

ตอน 1

აღმილობრივი თვითმმართველობა – ისტორიული მიმოხილვა და დემოკრატიული ქვეყნების მაგალითები

თემა 1

ადგილობრივი თვითმმართველობა – ისტორიული მიმოხილვა და დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება

მიზნები:

- დამხმარე სახელმძღვანელოსა და მისი მიზნების წარდგენა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგადი გააზრება;
- დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება;

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, კალმები, დაფა, ცარცი

ხანგრძლივობა – ორი გაკვეთილი

გაკვეთილი 1

აქტივობა #1

მასწავლებელი მოსწავლეებს, თავდაპირველად, სახელმძღვანელოს მიზნებს აცნობს.

შემდეგ გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით არკვევს, რა იციან მოსწავლეებმა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, თუ რა არის თვითმმართველობა, სად იღებს სათავეს და როგორ განვითარდა ის დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში?

აქტივობა #2

დარჩენილი დროის განმავლობაში მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებას აძლევს. უხსნის, თუ რა არის პროექტი და როგორ უნდა დაიწყონ მისი განხორციელება. პირველ ეტაპზე საჭიროა, რომ

მათ საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩაატარონ სამეზობლოში, ოჯახში, მეგობრებთან თემაზე – „რა არის თვითმმართველობა?“ (იხ. მოსწავლის წიგნი: **პროექტი, I ეტაპი**). აღსანიშნავია, რომ, სავარაუდოდ, ეს არის პირველი მცდელობა, როცა მოსწავლეები ამგვარ სამუშაოს ასრულებენ. მათ, ასევე, უნდა მოამზადონ მცირე ზომის პრეზენტაცია, რაც შესაძლებელია, შეასრულონ ჯგუფურად ან წყვილებში.

გაკვეთილი 2

აქტივობა #1

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ თვითმმართველობა არ არის უცხოეთიდან ახლა შემოტანილი იდეა და რომ მის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდნენ ქართველი მოაზროვნეები. ამის საუკეთესო მაგალითია **ილია ჭავჭავაძის** სტატიების ციკლი **„ცხოვრება და კანონი“.** მასში **ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში თვითმმართველობის სწორედ ის პრინციპები ჩამოაყალიბა, რომლებიც 100 წლის შემდეგ (1985 წელს) ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას დაედო საფუძვლად.** ილიასეული ხედვის გაცნობით ჩვენ შეგვიძლია, გავიგოთ თვითმმართველობის არსი, მისი როლი, ფუნქციები და სამოქმედო პრინციპები.

პაუზებით კითხვის მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეები ილია ჭავჭავაძის ნაშრომს ეცნობიან და ყოველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ შესაბამის კითხვებს პასუხობენ.

ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი უცხადებს მათ, რომ განვითარებულ ქვეყნებში თვითმმართველობა დღესაც სწორედ ამ პრინციპებზეა მოწყობილი.

შენიშვნა: *მასწავლებლის წიგნის ბოლოს (სასარგებლო რესურსები) მოცემულია ამონარიდი ილია ჭავჭავაძის სტატიების ციკლიდან* ***„ცხოვრება და კანონი“.*** *მოსწავლის წიგნისგან განსხვავებით, აქ დართულია რამდენიმე ნაწყვეტი ილიას თეორიული შეხედულებებიდან (ტექსტი მოცემულია დახრილი შრიფტით, ნაცრისფერ ფონზე):*

- *საკუთრება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებათაგანი;*
- *ბისმარკის მოსაზრება დეცენტრალიზაციის შესახებ;*
- *სუბსიდიარობის პრინციპის დასაბუთება;*
- *თვითმმართველობა სხვადასხვა სახელმწიფო რეჟიმში;*
- *თვითმმართველი ერთეულების ზომის საკითხი.*

აღნიშნული მოსაზრებები მასწავლებელმა, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება, დამატებით აუხსნას მოსწავლეებს.

ตอน 2

თვითმმართველობის არსი და მნიშვნელობა, თვითმმართველობის სისტემა და საქანონმდებლო ბაზა საქართველოში

თემა 2

თვითმმართველობის არსი და მნიშვნელობა, თვითმმართველობის სისტემა და საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

მიზნები:

- თვითმმართველობის მნიშვნელობის გაანალიზება დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლებისა და კანონმდებლობის შესწავლა;
- სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულებების გაცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში.

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, კალმები, დაფა, ცარცი

ხანგრძლივობა – ერთი გაკვეთილი

გაკვეთილი 3

აქტივობა #1

მოსწავლეები, თავდაპირველად, საკუთარ ნამუშევრებს წარმოადგენენ, რომლებიც მათ უნდა მოემზადებინათ თემაზე – „რა არის თვითმმართველობა?“, „რა ძირითადი პრობლემები არსებობს თქვენს მუნიციპალიტეტში?“

აქტივობა #2

მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს, თუ როდის დაიწყო საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირება, როდის შეუერთდა საქართველო ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას, რა ვალდებულებები დააკისრა ჩვენს ქვეყანას აღნიშნული ქარტიის რატიფიცირებამ და რა სამართლებრივი მექანიზმები უზრუნველყოფს საქართველოში თვითმმართველობის განხორციელებას. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ განმარტებაზე. მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს აზრობრივი რუკა, რათა დარწმუნდეს, რომ ორგანული კანონის მნიშვნელობა მოსწავლეებმა კარგად გაიგეს.

შენიშვნა:

მასწავლებელმა ყურადღება შემდეგ საკითხებზე უნდა გაამახვილოს:

- *საქართველოში თვითმმართველობის გამოცდილება ისტორიულად არსებობს. XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოება ბევრად უფრო დაწინაურებული იყო, ვიდრე დღეს. საქართველოს I რესპუბლიკის პერიოდში (1918–1921) ქვეყანაში შეიქმნა თვითმმართველობის კლასიკურად ევროპული სისტემა, რომლამდე მისაღწევადაც დღევანდელ საქართველოს კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება;*
- *საქართველო ევროპულ ქარტიას 2002 წელს შეუერთდა, ხოლო 2005 წლის 1 აპრილიდან ქარტია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს;*
- *სუბსიდიარობის პრინციპი (**წყარო 1:** ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, მუხლი 4, პუნქტი 3);*
- *თვითმმართველობის უფლება ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა (**წყარო 2:** საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7, პუნქტი 4).*

აქტივობა #3

თვითმმართველობის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების (ანუ სხვადასხვა კანონის) მიმოხილვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა მოვალეობები აკისრია სახელმწიფოს (ცენტრალურ ხელისუფლებას) ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ.

ამ ვალდებულებებში გასარკვევად მოსწავლეები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-7 მუხლის დებულებებს განიხილავენ (მოსწავლის წიგნის დანართი 1 ან მასწავლებლის წიგნის სასარგებლო რესურსები; 2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი). შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ხუთ ჯგუფად ჰყოფს და დავალებას აძლევს, იმსჯელონ ჯგუფებში. თითოეული ჯგუფი შესაბამისად განიხილავს მე-7 მუხლის 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტებს.

დასასრულს, ყველა ჯგუფი თავის ნამუშევარს წარმოადგენს და გაიმართება საკლასო დისკუსია.

შენიშვნა:

თითოეული პუნქტის შეფასებისას მასწავლებელმა, შეიძლება, შემდეგი პრინციპებით იხელმძღვანელოს:

1. *თვითმმართველობისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ურთიერთთანამშრომლობას ემყარება – ცენტრალური ხელისუფლება არ არის ადგილობრივი ხელისუფლების „უფროსი“;*
2. *სახელმწიფო ვალდებულია, თვითმმართველობების საქმიანობის მხარდასაჭერად შექმნას შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები;*
3. *თუ სახელმწიფო (ცენტრალური ხელისუფლება) თვითმმართველობებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას ცვლის, ვალდებულია, თვითმმართველობებთან წინასწარი კონსულტაციები გამართოს;*
4. *თვითმმართველობებს, თუ მათი უფლებები ცენტრალური ხელისუფლების მიერ ილახება, უფლება აქვთ, ცენტრალურ ხელისუფლებას სასამართლოში უჩივლონ;*
5. *თვითმმართველობებს, თუ მათი უფლებები რომელიმე ახალი კანონით ილახება, უფლება აქვთ, ეს ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ.*

บทที่ 3

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნული ბანკების ფუნქციები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ძირითადი ინდიკატორები

თემა 3

ადგილობრივი თვითმმართველობის მახასიათებლები და ძირითადი მიზნები

მიზნები:

- თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებისა და ფუნქციების გაცნობა-გაანალიზება;
- თვითმმართველობის უფლებამოსილებების ფუნქციათა მიხედვით გამიჯვნა;
- თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაანალიზება საჯარო სკოლასთან დაკავშირებით.

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, დიდი ფორმატის ქაღალდები, მარკერები, კალმები

ხანგრძლივობა – ერთი გაკვეთილი

გაკვეთილი 4

აქტივობა #1

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს **დავალებას 3.1,** რისთვისაც მოსწავლეები ჯგუფებად უნდა დაიყონ.

თითოეული ჯგუფი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამის მუხლს დამოუკიდებლად განიხილავს.

დასასრულს, ყველა ჯგუფი თავის ნამუშევარს წარმოადგენს და საკლასო დისკუსია გაიმართება.

შენიშვნა:

სასურველია, მასწავლებელმა ერთმანეთთან დააკავშიროს ილია ჭავჭავაძის შეხედულებები და მოქმედი კანონმდებლობა (თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის 2 პუნქტის პრინციპები) იმის შესახებ, თუ რა ნიშნებით ხასიათდება თვითმმართველობა.

ბოლოს კი, დასკვნის სახით, უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ეს პრინციპები, ძირითადად, ემთხვევა ერთმანეთს, რადგან ისინი საღ აზრზე – ლოგიკაზე დამყარებული პრინციპებია.

აქტივობა #2

მასწავლებელი მოსწავლეებს ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად ფუნქციებს აცნობს. მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ადგილობრივი თვითმმართველობის როლზე კონფლიქტების თავიდან არიდებისა და მოგვარების საკითხში. ფუნქციების მიმოხილვის შემდეგ კი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განხილვა იწყება.

მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ, ამა თუ იმ ფუნქციის შესასრულებლად, კონკრეტულად, რომელ უფლებამოსილებას იყენებს თვითმმართველობა. მასწავლებელი მათ აძლევს დავალებას **(დავალება 3.2),** რომლის თანახმადაც, ისინი უნდა გაეცნონ ოთხ შემთხვევას და გაარკვიონ, ახორციელებდა თუ არა თავის ძირითად ფუნქციას თვითმმართველობის ორგანო თითოეულ შემთხვევაში?

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს შემთხვევა, ისევე, როგორც სახელმძღვანელოში მოცემული სხვა შემთხვევები, რეალურია და სხვადასხვა ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეყრდნობა. შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალოს, რომ მსგავსი შემთხვევები თავადაც მოიძიონ.

შენიშვნა:

- ***შემთხვევა 1*** *(ახალგაზრდული ცენტრი) სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილური განვითარების სფეროს შეეხება;*
- ***შემთხვევა 2*** *(ბიბლიოთეკისა და ამბულატორიის მოწყობა) არის საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება;*
- ***შემთხვევა 3*** *(მელიორაცია) ასევე საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებას და, გარკვეულწილად, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფასაც უკავშირდება;*
- ***შემთხვევა 4*** *(დასუფთავება და მყარი ნარჩენების გატანა) ინტერმუნიციპალური (მუნიციპალიტეტებს შორისი) თანამშრომლობის მაგალითს წარმოადგენს საზოგადოებრივი მომსახურების ამ სფეროში, ამასთანავე, იგი უფრო პერსპექტივაზე, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული.*

აქტივობა #3

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად შეაჯამებენ აქტივობა №2-ის დავალებას, მასწავლებელი მათ ახალ დავალებას აძლევს: მოსწავლის წიგნის დანართში 1 გაეცნონ საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლს და მასში მოცემული თვითმმართველობის უფლებამოსილებანი ფუნქციების მიხედვით დააჯგუფონ, მოცემული ცხრილი კი რვეულში გადაიტანონ და შეავსონ.

დავალებას 3.3 მოსწავლეები შინ ასრულებენ.

შენიშვნა:

1. დავალების 3.3 ცხრილში მაგალითის სახით მოცემულია რამდენიმე პუნქტით/ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებანი;

2. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი უფლებამოსილებანი თვითმმართველობის ***საკუთარი უფლებამოსილებებია*** *და* ***მხოლოდ მან უნდა შეასრულოს.*** *რაც შეეხება მე-16 მუხლის მე-4 პუნქტს, ეს, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებია და* ***თვითმმართველობას შეუძლია,*** *მათ მოგვარებაში* ***ცენტრალურ ხელისუფლებას დაეხმაროს.*** *სწორედ ამიტომ კანონში ამ შემთხვევაში გამოყენებულია არა ტერმინი* ***„განხორციელება“,*** *არამედ ტერმინები* ***„ხელშეწყობა“*** *და* ***„მხარდაჭერა“;***

3. შესაძლოა, მოსწავლეებმა რომელიმე უფლებამოსილება სხვადასხვა გრაფაში ჩაწერონ, მაგალითად: პუნქტი 2.ა (ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება, განხორციელება და განხორციელებაზე კონტროლი) ზოგიერთმა მოსწავლემ „მდგრადი განვითარების“, ხოლო ზოგმა „სტაბილობის უზრუნველყოფის“ გრაფაში ჩასვას. არც ერთი ასეთი ხედვა არ არის შეცდომა, მოცემული სამი ფუნქცია (საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება, მდგრადი განვითარება, სტაბილობის უზრუნველყოფა) პირობითია. დავალების მიზანია, მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ, თუ რა უფლებამოსილებების განხორციელება ევალება ადგილობრივ თვითმმართველობას.

აქტივობა #4

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დავალების 3.3 შესრულების შემდეგ პროექტის I ეტაპის შედეგებს გადახედონ და გამოკითხულთა მიერ ჩამოთვლილი თვითმმართველობაში არსებული პრობლემებიდან ის საკითხები გამოყონ, რომელთა გადაწყვეტაც ადგილობრივი თვით-მმართველობის უფლებამოსილებაა.

პროექტის II ეტაპის დავალებას მოსწავლეები შინ ასრულებენ.

ตารางวงกลม

4

აღმასრულებელი ორგანოები

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და

თემა 4

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

მიზნები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დახასიათება;
- ამ ორგანოთა არჩევის წესისა და მექანიზმების გაანალიზება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის მაგალითები.

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, რვეული, კალმები
ხანგრძლივობა – ორი გაკვეთილი

გაკვეთილი 5

აქტივობა #1

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა არის საკრებულო, ვინ არის მერი და როგორ ირჩევენ მას. შემდეგ, გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები – მათი აზრით, ვინ შეიძლება, გახდეს საკრებულოს წევრი და მერი? მასწავლებელი აცნობს მათ, რა მოთხოვნებს უყენებს კანონი თვითმმართველობის წევრობის კანდიდატს (მოსწავლის წიგნი, დანართი 2, ამონარიდი საარჩევნო კოდექსიდან, მუხლი 134).

აქტივობა#2

მასწავლებელი მოსწავლეებს დამოუკიდებლად შესასრულებელ **დავალებას 4.1** აძლევს.

აქტივობა#3

მასწავლებელი მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდის საკრებულოსა და მერის არჩევის წესის შესახებ; ასევე – არჩეული პირების უფლებამოსილებისა და ორგანოების სტრუქტურის შესახებ და დავალებას აძლევს, ინფორმაცია მოიძიონ თავიანთი თვითმმართველობის საკრებულოს შემადგენლობის შესახებ **(დავალება 4.2).**

შენიშვნა: *აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება, ზოგიერთი ქალაქის შემთხვევაში, შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით (სამოქალაქო*

კულტურის საერთაშორისო ცენტრის საიტი http://www.lsg.ge/). შესაძლებელია, ასევე, წერილით მიმართონ საკრებულოს და აღნიშნული ინფორმაცია გამოითხოვონ. წერილის ნიმუში მოცემულია მოსწავლის წიგნის დანართში 3. მოსწავლეებს შეუძლიათ, ინდივიდუალურადაც მიმართონ საკრებულოს, ან კოლექტიური წერილი გაუგზავნონ მას კლასის სახელით.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის მიღებას, შესაძლოა, რამდენიმე დღე დასჭირდეს და მომდევნო გაკვეთილის თარიღიც ამის შესაბამისად უნდა დაგეგმოს.

გაკვეთილი 6

აქტივობა #1

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მომზადებული დავალებები წარმოადგინონ. აქტივობის ხანგრძლივობა მოსწავლეთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცეს.

აქტივობა #2

მასწავლებელი მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურის, თანამდებობის პირების, სამუშაო ენისა და სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ და დავალებას აძლევს მათ, ინფორმაცია მოიძიონ თავიანთი თვითმმართველი ერთეულის გერბისა და დროშის შესახებ **(დავალება 4.3).**

შენიშვნა: *ინფორმაცია მოსწავლეებმა ამ შემთხვევაშიც, შეიძლება, ინტერნეტის საშუალებით მოიპოვონ (შესაბამისი მუნიციპალიტეტის საიტზე) ან თვითმმართველობას წერილობით მიმართონ.*

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის მიღებას, შესაძლოა, რამდენიმე დღე დასჭირდეს და მომდევნო გაკვეთილის თარიღიც ამის შესაბამისად უნდა დაგეგმოს.

აქტივობა #3

გაკვეთილის მეორე ნახევარი სრულად ეთმობა **პროექტის III ეტაპს** – თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაცნობასა და გაანალიზებას. გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ თავიანთი მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული რაიმე აქტივობა, რომელიც პოზიტიურად აისახა მათი თემის ცხოვრებაზე; დაასახელონ, ასევე, ის საკითხები, რომელიც, მათი აზრით, შესაძლებელია, თვითმმართველობასთან თანამშრომლობით გადაჭრან.

შენიშვნა: *თვითმმართველობის დახმარებით გადაჭრილი პრობლემების მაგალითები მოიძიეთ ვებგვერდზე www.civics.ge*

ตอน 5

მეღიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში

თემა 5

მედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში

მიზნები:

- მედიის მნიშვნელობის, პასუხისმგებლობისა და უფლება-მოვალეობების გაცნობა და გაანალიზება;
- მედიის როლის გაცნობა და გაანალიზება საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;
- მედიასთან თანამშრომლობის შესაძლებლობის გაცნობა.

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, კალმები, დაფა, ფერადი მარკერები

ხანგრძლივობა – სამი გაკვეთილი

გაკვეთილი 7

აქტივობა #1

მასწავლებელი მოსწავლეებს დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის როლის შესახებ ესაუბრება, კერძოდ: რა როლი აკისრია მედიას და რისთვის სჭირდებათ ის მოქალაქეებსა და სახელმწიფოს? გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით იგი არკვევს, თუ რა იციან მოსწავლეებმა მედიის შესახებ. მოსწავლეები, ამავე დროს, პასუხს სცემენ პირველ შეკითხვას – როგორია ქართული მედია დღეს?

შენიშვნა: *სურვილის შემთხვევაში, საკლასო სამუშაოს სახით, მასწავლებელი მოსწავლეებს ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ვიდეოკლიპს უჩვენებს.*

აქტივობა #2

მასწავლებელი მოსწავლეებს მედიის ისტორიას უამბობს და იმ გავლენაზე ესაუბრება, რაც მას საზოგადოებაზე შეიძლება ჰქონდეს. გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით იგი არკვევს, თუ რა იციან მოსწავლეებმა საქართველოში მედიის/პრესის ისტორიის შესახებ.

რამდენიმე ჯგუფად დაყოფილ მოსწავლეებს, საშინაო დავალების სახით, სთხოვს, ინტერნეტსივრცეში მოიძიონ ინფორმაცია პირველი ქართული გაზეთის/ქართული პრესის ისტორიაზე და პრეზენტაცია მოამზადონ მასზე.

აქტივობა #3

მასწავლებელი მოსწავლის წიგნის შესაბამის ქვეთავში მოყვანილი ინფორმაციის მიხედვით, მედიის პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს აცნობს მათ და ამავე ქვეთავის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, დისკუსიის მეთოდის გამოყენებით, სიმპოზიუმს მართავს კლასში. კითხვები ასეთია:

1. როგორ გესმით მედიის თვითრეგულირება?
2. როგორ ფიქრობთ, იცავს თუ არა ქართული მედია ეთიკურ პრინციპებს?
3. გაიხსენეთ მაგალითები, როდესაც მედიის საქციელი თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

აქტივობა #4

გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი არკვევს, თუ რა იციან მოსწავლეებმა ახალი ამბებისა და ჟურნალისტების მუშაობის შესახებ; აგრეთვე მათ რეგიონში/ქალაქში/მუნიციპალიტეტში მოქმედი მედიასაშუალებების შესახებ. მასწავლებელი მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი შესაბამისი მასალის მიხედვით, მოსწავლეებს ახალი ამბების შექმნის პრინციპებსა და ამოცანებს უხსნის. მოსწავლეები კლასშივე პასუხობენ „ახალი ამბების“ დასასრულს მოცემულ შეკითხვებს, ეცნობიან სვეტში მოცემულ გამონათქვამებს და დისკუსიის მეთოდის გამოყენებით აფასებენ მათ.

გაკვეთილი 8

აქტივობა #1

მოსწავლეები წინა გაკვეთილზე მიცემულ დავალებას წარმოადგენენ პირველი ქართული გაზეთისა და პრესის ისტორიის შესახებ.

აქტივობა #2

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ იხსენებს წინა გაკვეთილის თემას – ახალ ამბებს და გონებრივი იერიშის საშუ-

ალებით არკვევს, თუ რა დაიმახსოვრეს მოსწავლეებმა. ისინი კლასში ასრულებენ **დავალებებს 5.1** და 5.2. თუ მასწავლებელი ხედავს, რომ მოსწავლეებს **დავალების 5.2** კლასში შესრულება გაუჭირდებათ, მას საშინაო დავალებად აძლევს.

აქტივობა #3

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული მედია; ინფორმაციას აცნობს საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობის, მისი საჭიროებებისა და ვალდებულებების შესახებ. მოსწავლეები კლასში ასრულებენ **დავალებას 5.3.** გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით კი მასწავლებელი არკვევს, რა იციან მათ საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ და რამდენად აკმაყოფილებს ის არასრულწლოვანთა ინტერესებს? მასწავლებელი შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, კლასშივე გამოთქვან აზრი, თუ რომელ თემებზე მომზადებულ და როგორ გადაცემებს ისურვებდნენ ქართულ ტელევიზიებში, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ხოლო **დავალებას 5.4** საშინაო დავალების სახით აძლევს მათ.

გაკვეთილი 9

აქტივობა #1

მოსწავლის წიგნში მოცემული ახალი ამბის სამი ვარიანტის შესახებ საშინაო დავალებას მოსწავლეები ჯგუფურად წარმოადგენენ მოკლედ – დავალების ქვემოთ მოყვანილი შეკითხვების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ მათ შეძლონ ახალი ამბის მოცემული ვარიანტების გაანალიზება, ასევე, პასუხის გაცემა შეკითხვაზე, თუ რატომ იყო ესა თუ ის ვერსია მიკერძოებული ან კარგად მომზადებული? მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ მასწავლებელი იმის გააზრებაში დაეხმაროს მათ, თუ რომელ შემთხვევაში და რატომ ვერ შეძლო მედიამ საზოგადოების ინტერესების დაცვა და თვითმმართველობის განხორციელებაში დახმარება?

აქტივობა # 2

მასწავლებელი მოსწავლეებს წინა გაკვეთილის დავალებას (5.1.) ახსენებს და მასში მოცემულ შეხვედრას ან ვიზიტს მათთან ერთად გეგმავს სამომავლოდ. ღონისძიებაზე სტუმრისთვის დასასმელი შეკითხვები მოსწავლეებმა შინ უნდა მოამზადონ.

აქტივობა # 3

მასწავლებელი მოსწავლის წიგნში მოცემული კონკრეტული მაგალითების დახმარებით მოსწავლეებს მედიასთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს აცნობს; გონებრივი იერიშის საშუალებით არკვევს, თუ რა იციან მოსწავლეებმა საკუთარი უფლებების შესახებ და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის იმ მუხლებს განუმარტავს, რომელიც მოსწავლის წიგნშია წარმოდგენილი.

აქტივობა # 4

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი აჯამებს მედიის თავს და მოსწავლეებს განვლილ მასალას შეახსენებს; შემდეგ კი მედიისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებებს აცნობს – მათ შორის, პრესანონსსა და პრესრელიზს.

ตอนที่ 6

რომორ მანვასორცხიელოთ თვითმმართველობა?

თემა 6

როგორ განვახორციელოთ თვითმმართველობა?

მიზნები:

- საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისთვის მომზადება და გამოკითხვის ჩატარება;
- მოქალაქეების საჭიროებათა და პრობლემათა გამოვლენის უნარ-ჩვევების შეძენა;
- პრეზენტაციების მომზადება თვითმმართველობების წინაშე მდგარი პრობლემატური საკითხების შესახებ.

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, კალმები
ხანგრძლივობა – სამი გაკვეთილი

გაკვეთილი 10

აქტივობა #1

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, როგორ ხორციელდება მოქალაქეთა მიერ, კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა და როგორ შეიძლება ამ პროცესებში ჩართვა; გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით და განვლილ მასალაზე დაყრდნობით იგი არკვევს, თუ კონკრეტულად რა საკითხებზე სურთ მათ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა? მოსწავლეები უნდა გაეცნონ **დავალებაში 6.1** მოტანილ მაგალითებს, ასევე – **დავალებაში 6.2** მოცემულ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამის მუხლებს და უპასუხონ გაკვეთილის ტექსტში დასმულ კითხვას: ხომ არ გსმენიათ, იყო თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ საქართველოს მოქალაქეებისთვის მინიჭებული რომელიმე უფლების გამოყენების შემთხვევა? გთხოვთ, მოიყვანოთ მაგალითები.

შენიშვნა: *გაითვალისწინეთ, არ არის საჭირო თითოეული მუხლის დაწვრილებით გავლა. მონაწილეობის ფორმები (რისი პროცედურებიც ცალკეულ მუხლებში დაწვრილებითაა ახსნილი) ჩამონათვალის სახით არის მოცემული 85-ე მუხლის მე-4 პუნქტში.*

აქტივობა #2

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის კვლევას და მოსწავლეებიც, მასწავლებლის დახმარებით, ეტაპების მიხედვით იწყებენ პირველი პრაქტიკული დავალების განხორციელებას. პროექტის განხორციელების ეტაპები დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის წიგნში. მოსწავლეები მათ მე-10, მე-11 და მე-12 გაკვეთილების განმავლობაში გაივლიან.

შენიშვნა: *მასწავლებელმა ყურადღება იმ გარემოებაზე უნდა გაამახვილოს, რომ თვითმმართველობის მთავარ მიზანს,* ***საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში,*** *მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილება წარმოადგენს. შესაბამისად, მოქალაქეთა სურვილების ცოდნა აუცილებელია ნებისმიერი კარგი ხელისუფლებისათვის.*

გაკვეთილი 11

აქტივობა #1

მასწავლებელი, მოსწავლეებთან დისკუსიის მეშვეობით, მოკლედ განიხილავს პროექტის I, II და III ეტაპების დროს განხორციელებული გამოკითხვების შედეგებსა და ანალიზს.

მოსწავლეები ამზადებენ კითხვარს, რათა საკუთარ დასახლებაში (ქალაქში/ქალაქის უბანში, დაბაში, სოფელში) არსებულ სამეზობლოში, სამეგობროში, სკოლაში ჩაატარონ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თემაზე: „საზოგადოებრივი და პირადი საჭიროებები – რომელი საკითხების ან პრობლემების მოგვარებაში მჭირდება თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობა?“ (კითხვარის ნიმუში იხილეთ მოსწავლის წიგნის **დანართში 6**).

შენიშვნა:

- *გამოკითხვის მიზნების და ამოცანების განსაზღვრა (კვლევის მიზანია მოქალაქეთა ისეთი საჭიროებების გამოვლენა, რომელთა მოგვარება თვითმმართველობასთან თანამშრომლობით არის შესაძლებელი);*
- *გამოკითხვის ტიპის დადგენა (მოსწავლეები პირადად დაურიგებენ კითხვარებს რესპონდენტებს თუ ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდებიან მათ);*
- *ფუნქციების განაწილება (ვინ შეადგენს კითხვარს, ვინ ჩაატარებს გამოკითხვას, ვინ დააჯამებს შედეგებს და ვინ მოამზადებს პრეზენტაციას კვლევის შედეგებზე).*

2. მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განსაზღვროს, რამდენ მოქალაქეს გამოკითხავენ მოსწავლეები – ეს რიცხვი შეიძლება, მერყეობდეს რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე.

არ დასახოთ არარეალისტური გეგმები, არ შეეცადოთ ძალზე დიდი ოდენობის ადამიანის გამოკითხვას;

3. მომდევნო გაკვეთილი მასწავლებელმა გამოკითხვის ჩატარების შემდეგ უნდა დაგეგმოს.

გაკვეთილი 12

აქტივობა #1

მასწავლებელი გამოკითხვის შედეგებს მოსწავლეებთან ერთად აჯამებს.

შემდეგ მოსწავლეები ირჩევენ, თუ რა საკითხებზე მოამზადებენ პრეზენტაციებს. ამისათვის სასურველია, დებატები გაიმართოს და ამ გზით შეირჩეს ის საკითხები, რომლებსაც მოსწავლეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს წარუდგენენ.

შენიშვნა:

1. *პრეზენტაციები თვითმმართველობაში არსებულ რომელიმე კონკრეტულ პრობლემას (ცუდი შიდა გზები, ნაგვის გატანა, წყალმომარაგების სისტემაში არსებული პრობლემები) უნდა შეეხებოდეს;*
1. *მათში უნდა ჩანდეს გამოკითხულ მოქალაქეთა სურვილები და ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კონკრეტული მოსაზრებები თუ რეკომენდაციები.*

აქტივობა #2

პრიორიტეტული საკითხის/საკითხების პრეზენტაციის მონახაზს მოსწავლეები ერთად აკეთებენ: გეგმავენ, თუ ვინ და რა სახით წარმოადგენს ამ საკითხებს. დებატების მეთოდის გამოყენებით რამდენიმე საუკეთესო პროექტი და პრეზენტაცია შეირჩევა. შემდეგ მასწავლებელი როლებს უნაწილებს მოსწავლეებს – ვინ რა უნდა გააკეთოს თვითმმართველობის წარმომადგენელთან შეხვედრისას. როლებით თამაშისა და სიტუაციის მოდელირების მეთოდების გათვალისწინებით, კლასში მოდელირებული შეხვედრა იმართება, რათა რეალური შეხვედრის დროს თავისი ფუნქცია ზუსტად იცოდეს ყველამ და რაიმე სახის უზუსტობა ან გაუგებრობა თავიდან აიცილონ.

შენიშვნა: *მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს პრეზენტაციების მოცულობას. რამდენიმე პრეზენტაციის შემთხვევაში, თითოეულს შეიძლება, რამდენიმე წუთი დაეთმოს. საერთოდ, მიღებულია, რომ* ***კლასიკური პრეზენტაციის ხანგრძლივობა 15-20 წუთია,*** *რომლის შემდეგაც დამაზუსტებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში დისკუსია იმართება. სასურველია, რომ პრეზენტაციები და დისკუსია, მაქსიმუმ,* ***1-1,5 საათს გაგრძელდეს,*** *რათა მსმენელები არ გადაიღალონ და ინფორმაცია ადეკვატურად აღსაქმელი იყოს ბოლომდე.*

აქტივობა #3

მას შემდეგ, რაც შეირჩევა, თუ რა საკითხებზე მომზადდება პრეზენტაცია (პრეზენტაციები), მოსწავლეებმა, მასწავლებლის დახმარებით, ოფიციალური წერილი უნდა მოამზადონ და თვითმმართველობის წარმომადგენელი შეხვედრაზე მოიწვიონ. შეხვედრა შესაძლებელია გაიმართოს სკოლაში ან საკრებულოში (ამ მიზნით შეიძლება, მოსწავლის წიგნის **დანართში 3** მოცემული კოლექტიური წერილის ფორმა გამოიყენოთ).

შენიშვნა: *იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა თვითმმართველობის წარმომადგენელთა მოწვევა:*

- *შეხვედრა შეიძლება, გაიმართოს საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებთან, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, კონკრეტული წინადადებები მერს მიაწოდონ;*
- *კიდევ ერთი შესაძლებლობაა დასახლების საერთო კრების ინიციატორთა ან რჩეულის მოწვევა (იმ დასახლებაში, სადაც ეს სტრუქტურა უკვე არსებობს).*

შენიშვნა: *თუ მასწავლებელი მე-12 გაკვეთილის განმავლობაში ვერ ასწრებს პრეზენტაციების გადამოწმებას, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია, დამატებითი გაკვეთილი დაუთმოს მას.*

გაკვეთილი 13

შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან

მიზნები:

- თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება;
- ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის კონკრეტული გზების დასახვა.

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, კალმები; შესაძლებლობის ფარგლებში, სასურველია, პროექტორის გამოყენებაც.
ხანგრძლივობა – ერთი გაკვეთილი

აქტივობა #1

თვითმმართველობის წარმომადგენელთან/წარმომადგენლებთან შეხვედრა პრეზენტაციებისა და დისკუსიების ფორმატში გაიმართება:

1. მოსწავლეები თავიანთ პრეზენტაციებში ასახავენ შეთავაზებებს თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოებისადმი;

2. თვითმმართველობის წარმომადგენლები მოსწავლეებს ამ საკითხებთან მიმართებაში თვითმმართველობის დამოკიდებულებას გააცნობენ (რა არის უკვე დაგეგმილი, რა იგეგმება, რა ვერ განხორციელდება და რატომ?);
3. მოსწავლეები მათთვის საინტერესო საკითხებზე კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღებენ ინფორმაციას.

გახსოვდეთ: პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად, შესაძლოა, სწორედ თვითმმართველობის მხრიდან პასიურობა ან თანამშრომლობაზე უარის თქმა გამოვლინდეს. თუკი ამ დროისათვის მოსწავლეებმა უკვე იციან, რა არის თვითმმართველობის ფუნქცია და როგორც მოქალაქეებს, რისი მოთხოვნის უფლება აქვთ მისგან – შეეცდებიან, საკუთარი ფუნქციების შესრულება თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან უფრო აქტიურად და, რაც მთავარია, კანონიერად მოითხოვონ.

შენიშვნა: *შეხვედრის უმთავრესი მიზანი არა კონკრეტული საკითხის გადაჭრა, არამედ მოსწავლეთათვის იმის ჩვენებაა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ კანონმდებლობით მონიჭებული უფლებები.*

გაკვეთილი 14

პროექტის შედეგების შეჯამება და ანალიზი

მიზნები:

საგანმანათლებლო პროგრამის შეჯამება, ამა თუ იმ მოლოდინისა და შედეგის შედარება

საჭირო რესურსები – სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, კალმები
ხანგრძლივობა – ერთი გაკვეთილი

აქტივობა #1

გაკვეთილზე გამართეთ დისკუსია და ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა შედეგები მოჰყვა მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებს? კმაყოფილი არიან თუ არა შეხვედრის შედეგებით? დააკონკრეტონ, რა მოლოდინი ჰქონდათ და გამართლდა თუ არა ის? როგორია შედეგი მთლიანობაში – დამაკმაყოფილებელი თუ არადამაკმაყოფილებელი? რას ფიქრობენ, რატომ მიიღეს ასეთი შედეგი? კიდევ ისურვებდნენ თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობას მომავალში?

ცხოვრება და კანონი

ილია ჭავჭავაძე

ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ.

მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულდახურული, ღარიბი ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუკმა პურს, რომელსაც აწვდის თვის ჯალაბს საზრდოებისათვის. იგი თავგადადებით, თავგამომეტებით დღედაღამ ებრძვის ბუნებას და ყოველი ესრეთ მოპოებული ლუკმაპური ძლევამოსილებაა მისის მხნეობისა, შრომისმოყვარეობისა. თუმცა ესრეთ აღამებს იგი დღეს და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისთვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოებისათვის. ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქვილი, ილაჯგაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი – იმედით აღსავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევამოსილობაა ხვალისათვის, მეორე – სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი – სულით თუ ხორცით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე – სულითაც და ხორცითაც დალევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის ამისი მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა. რაც სხვისაა – ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია – ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონთმდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ, ვინც ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო. რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შევუდგებით; ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება...

ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს...

ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, – ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ, ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელეკაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არის პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას (დეცენტრალიზაცია) უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთავრობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია.

ერთი მწერალი ამბობს: „ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს: ინგლისშიაც, საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვაკუთხედადა. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც, საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორც შვეიცარია (739 ოთხკუთხი მილია) და იქაცა, საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია, როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილადგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა, საცა იმისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში.

თუმცა ესეა, მაგრამ მაგ თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო – საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო.

როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რაგვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი, რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის განძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისთვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მო-

ხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეული მოხელენი უფრო ცოტას გვავნებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი.

თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინდამაინც არ არის, ასე იღვწოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რაღა ეთქმის.

ამ თვითმმართველობის დადგენისათვის ყველაზედ ძნელი იმ ზომის პოვნაა, რომლითაც საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი მიეზომება ხოლმე სახელმწიფოს მთავრობასა, და საზოგადოებრივი კი – ადგილობრივ საზოგადოებასა. ამ ორთა შუა ნამდვილის საზღვარის პოვნაც ძნელია, იმიტომ – რომ თვით ბუნებითად ამ ორივე საჭიროების ძაფები ერთი-ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან, თუ ყოველსფერში არა, ბევრში მაინცა. მაგრამ თვითმმართველობის საქებარად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს – მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი...

ადგილობრივი თვითმმართველობა და უმაღლესი მთავრობა არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ...

ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირუთვნელად, ზედმიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავკარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენლად და ვერც ხელი საშველადა. *ცხადია, რომ მან უნდა იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი, ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ რომ სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თითონ; სხვა ჩემს ავკარგიანობას ჩემსავით ვერ შეიტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის-დღეში არ ეცოდინება. ეს ყველგან ესე სცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყოფილი.*

სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივთა საქმეთა გამგედ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თავისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ყოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მიღწეულია, მეორეს მხრით – უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულისტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი.

აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვითმმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია.

მაგგვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული. თვითმმართველობა ხელქვეითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი.

რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი **თვითმმართველობის** უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორღანოა. *ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორღანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა.*

ცხადია, რომ როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა – თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, – ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამც თუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი.

თვითმმართველობა... დიდი ხანია მოქმედებს ინგლისშიაც, საცა მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავრობაა, და ჩრდილო-ამერიკაშიაც, საცა რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვითმმართველობა უმაღლესის მთავრობის სხვადასხვაგვარობაზედ არ არის დამოკიდებული, რომ იგი ყოველგვარს უმაღლეს მთავრობას უხდება.

თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი...

უმთავრესნი საფუძველნი თვითმმართველობისანი არიან:

1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია; მაშასადამე ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას;
2. ადგილობრივის სამმართველოს ხელქვევით უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარიხების გადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია;
3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა;
4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე.

... ჩვენში ხშირია წვრილ–წვრილი სოფლები. ზოგჯერ ამ წვრილ სოფლებს ისეთი მტრობა და დავა აქვთ მამულებზედ, ან ერთმანეთს შორის, ან დიდ სოფლებთან, რომ მათი შეერთება ცეცხლისა და წყალის შეერთება იქნება ერთმანეთის დასაშრეტად. ასეც მოხდა ბევრგან, იმიტომ რომ მარტო სიახლოვის ძალით მოახდინეს სოფლების შეერთება და ყური არ ათხოვეს სხვა ადგილობრივს ვითარებას, რომლის მცოდნენი – როგორც მოგეხსენებათ – ჩვენში ძალიან იშვიათნი არიან მთავრობის მოხელეთა შორის. დღესაც ბევრი ასე დარღვეული სოფლის საზოგადოებაა ჩვენში და აქამომდე არავინ არ გამოჩენილა, რომ ამას ყური ათხოვოს და წამალი დასდოს. თუნდ ესეც არ იყოს, რამდენი პატარა სოფელია დიდ სოფელზედ მიწერილი და მისგან ჩაგრული, რადგანაც პატარა სოფლის ხმა სოფლობაში ხმაა მღაღადებელი უდაბნოში და სხვა არაფერი. რას გააწყობს ბევრთან ცოტა? ესეც კია წვრილ სოფლებისათვის გასაჭირი, რომ ძალიანაც უნდოდეთ ცალკე ყოფნა, ვერ შეეძლებათ, რადგანაც წესდება ვალად სდებს იყოლიონ მოხელენი ... ამოდენა მოხელეებს სად გაუძღვება პატარა სოფელი?

... ჩვენ გვგონია, რაცა ვსთქვით, ეგეც სამყოფი საბუთი იყოს, რომ ხელახლად გადისინჯოს ყოველივე კანონმდებლობა ამ საგანზედ, თუ სოფლის კეთილგანწყობა ვისთვისმე სასურველია, და ვისთვის არ უნდა იყოს სასურველი! ეს კია, რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბოლოვარი რგოლი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვითმმართველობას, თუ მარტო სოფელში დაიწყება და სოფელშივე ჩაწყდება. სოფელს მაზრა უნდა მოჰყვეს, მაზრას – გუბერნია...

... ეხლა ვსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ მართლა მოუმზადებელია. მაშ, ვინც მოუმზადებელია, თავის-დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს უკრავთ, და ვეუბნებით-კი, ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის აღმორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით-კი, ისწავლე კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლეო და წყალში-კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს-კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულთმოქმედებას ხალხი ვერ იზამს... ხალხისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ მის საყოველდღეო წვრილმან საქმეებისათვის მომრიგებელი მოსამართლე რაც შეიძლება მახლობლად ჰყვანდეს...

სასარგებლო რესურსები 2

საქართველოს ორგანული კანონი
ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
(2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა თვითმმართველობის სფეროში არსებული რიგი კანონები გააერთიანა და მთელი რიგი დებულებების სისტემატიზაცია მოახდინა. შესაბამისად, მოხდა თვითმმართველობის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების კონსოლიდაცია. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შედარებით დიდი მოცულობაც ამით აიხსნება.

სრული ტექსტის გამოქვეყნება, ფორმატის შეზღუდულობის გამო, მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ. კოდექსის სრული ვერსიის ნახვა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებსაიტზეა შესაძლებელი: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2244429&lang=ge

ქვემოთ მოცემულია:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სტრუქტურის მოკლე აღწერა;
- კოდექსის კარების, თავებისა და მუხლების ჩამონათვალი;
- კოდექსის იმ მუხლების გაფართოებული ამონარიდი, რომელიც დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულ საკითხებს ეხება.

იმედი გვაქვს, ასეთი სტრუქტურა მასწავლებელს ხელს შეუწყობს განსახილველ საკითხებში სწორი ორიენტირება მოახდინოს.

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სტრუქტურის მოკლე აღწერა

კოდექსი შედგება 8 კარის, 21 თავისა და 184 მუხლისაგან, მასში განხილულია:

კარი I – ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები – ძირითადი არსი და მიზნები

1 თავი. ზოგადი დებულებები – რას შეეხება კანონი, რას წარმოადგენს თვითმმართველობა, რა ტერიტორიებზე ხორციელდება იგი და რა მახასიათებლები და საქმიანობის გარანტიები გააჩნია მას;

2 თავი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები – დაყოფის გზით ახალი მუნიციპალიტეტების წარმოქმნის, მუნიციპალიტეტების გაერთიანების, საზღვრების შეცვლის და სხვა შესაბამისი ცვლილებების მარეგულირებელი ნორმები;

3 თავი. კომპეტენციები – თვითმმართველობის საკუთარი და დელეგირებული (ცენტრიდან გადმოცემული) უფლებამოსილებანი, შესაძლო თანამშრომლობის მექანიზმები.

კარი II – მუნიციპალიტეტის ორგანოები – ვინ, რა სტრუქტურები ახორციელებს ამ საქმიანობას?

4 თავი. წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულოს უფლებები, საქმიანობის წესი, სტრუქტურა (ინსტიტუტები), თანამდებობის პირები, მათი არჩევის, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესი;

5 თავი. აღმასრულებელი ორგანოები – მერი, მერიის სტატუსი, სტრუქტურა, უფლებამოსილებანი, საქმიანობის, არჩევისა და გადარჩევის წესი;

6 თავი. თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული აქტების სტრუქტურა და დანიშნულება.

კარი III – თბილისის თვითმმართველობა – რით განსხვავდება თბილისის თვითმმართველობა სხვებისაგან?

7 თავი. თბილისის სტატუსი, დამატებითი უფლებები, ორგანოები, ადმინისტრაციული დაყოფა;

8 თავი. თბილისის საკრებულო – თავი 4-ის მსგავსი სტრუქტურით აღწერს თბილისის საკრებულოს;

9 თავი. თბილისის მერია – რა განსხვავებული სტატუსი და დამატებითი უფლებები და მოვალეობები გააჩნია თბილისის მერს და მერიას თავში 5 აღწერილი სტრუქტურებისაგან განსხვავებით?

10 თავი. თბილისის ტერიტორიული ერთეულების – რაიონების სტრუქტურა და საქმიანობის წესი.

კარი IV – მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები – ჩართულობის რა მექანიზმები გააჩნიათ მოქალაქეებს?

თავი 11. ჩართულობის გარანტიები და თვითმმართველობების ვალდებულებანი, დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, პეტიციის წარდგენა, თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალების სხვა ფორმები.

კარი V – თვითმმართველობების ბიუჯეტი და ეკონომიკური საფუძვლები – შემოსავლები, ხარჯები და მათი რეგულირება

თავი 12. ბიუჯეტი – საბიუჯეტო პროცესი, ყველა სახის შემოსავლები (შემოსულობები) და მათი ფორმები, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადმორიცხული ტრანსფერები და მათი სახეები, შემოსავლის სხვა წყაროები, სესხი, გადასახდელები და კომპენსაციის წესი;

თავი 13. თვითმმართველობის ქონება – საკუთრებაში არსებული ქონების მართვის წესები და პრინციპები;

თავი 14. ქონების შექმნა – ახალი ქონების წყაროები, მათი მართვა;

თავი 15. ქონების განკარგვა – პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის წესი (აუქციონები, აქციები, სხვა ფორმები).

კარი VI – თვითმმართველობებზე სახელმწიფო ზედამხედველობა – როგორ კონტროლდება თვითმმართველობა?

თავი 16. ზედამხედველობა საქმიანობაზე – თვითმმართველობის მიერ გამოცემული აქტების კანონთან შესაბამისობა და განხორციელებული საქმიანობის ხარისხის შემოწმება, წამოჭრილი დავების გადაწყვეტის წესი;

თავი 17. თვითმმართველობის საქმიანობის აუდიტი (სახელმწიფო, შიდა და დამოუკიდებელი);

თავი 18. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა – რა შემთხვევაში ჩერდება თვითმმართველობის საქმიანობა, როგორ და რა მექანიზმებით ანაცვლებს მას სახელმწიფო და რა ვადით?

კარი VII – სამხარეო საბჭო – რა რგოლი არსებობს თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის?

თავი 19. სამხარეო საკონსულტაციო საბჭო – მისი უფლებები, ფორმირება და საქმიანობის წესი.

კარი VIII – გარდამავალი და დასკვნითი დებულებები – კოდექსის ეტაპობრივი ამოქმედების სქემა

თავი 20. გარდამავალი დებულებები – როგორ და რა პერიოდში უნდა განხორციელდეს ახალი ადმინისტრაციული მოწყობა; ფინანსური და ქონებრივი რესურსების გადაცემა მუნიციპალიტეტებისათვის; რა სახის ადამიანური, ტექნიკური, დროითი რესურსები და რა სტრუქტურების შექმნაა ამისათვის საჭირო; რომელი უწყებები არიან პასუხისმგებელნი ამ საქმიანობის განხორციელებაზე?

თავი 21. დასკვნითი დებულებები – კოდექსის მიღების შედეგად ძალადაკარგული ძველი აქტების ნუსხა და კოდექსის ამოქმედების წესი.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კარების, თავებისა და მუხლების ჩამონათვალი

კარი I – ადგილობრივი თვითმმართველობა

თავი I – ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო;

მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება;

მუხლი 3. მუნიციპალიტეტები – თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი;

მუხლი 4. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული;

მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და დათქმები;

მუხლი 6. საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების უფლება;

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიები;

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები;

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენა.

თავი II – ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის შექმნა და გაუქმება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დადგენა და შეცვლა;

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა;

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან კონსულტაციის გამართვის წესი;

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის შექმნის, გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი;

მუხლი 14. მუნიციპალიტეტების რეგისტრაცია.

თავი III – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეები;

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები;

მუხლი 17. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები;

მუხლი 18. სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში;

მუხლი 19. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმები და მექანიზმები;

მუხლი 20. მუნიციპალიტეტის უფლება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებასა და მასში გაწევრიანებაზე;

მუხლი 21. მუნიციპალიტეტების უფლება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების ორგანიზებაზე;

მუხლი 22. მუნიციპალიტეტის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა.

კარი II – მუნიციპალიტეტის ორგანოები

თავი IV – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო

მუხლი 23. მუნიციპალიტეტის საკრებულო;
მუხლი 24. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება;
მუხლი 25. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა და შეკრება;
მუხლი 26. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის წესი;
მუხლი 27. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო;
მუხლი 28. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია;
მუხლი 29. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი;
მუხლი 30. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია;
მუხლი 31. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი;
მუხლი 32. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები;
მუხლი 33. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
მუხლი 34. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება, მისთვის უფლებამოსილების შეჩერება;
მუხლი 35. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება;
მუხლი 36. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
მუხლი 37. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;
მუხლი 38. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;
მუხლი 39. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობა;
მუხლი 40. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი;
მუხლი 41. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება;
მუხლი 42. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა;
მუხლი 43. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და შეჩერება;
მუხლი 44. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმები;
მუხლი 45. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზოგადი უფლებამოსილებები და ვალდებულებები;
მუხლი 46. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებების განხორციელება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე;
მუხლი 47. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან.

თავი V – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო

მუხლი 48. მერი;
მუხლი 49. მერის არჩევა;
მუხლი 50. მერია;
მუხლი 51. მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;
მუხლი 52. მერიის თანამდებობის პირები;
მუხლი 53. მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები;

მუხლი 54. მერის უფლებამოსილება;
მუხლი 55. მერის თანამდებობრივი შეუთავსებლობა;
მუხლი 56. მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები;
მუხლი 57. მერის პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები);
მუხლი 58. მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობა;
მუხლი 59. მერიის თანამდებობის პირების უფლებამოსილებების შეჩერება და შეწყვეტა;
მუხლი 60. მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

თავი VI – მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები

მუხლი 61. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
მუხლი 62. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება.

კარი III – საქართველოს დედაქალაქი – თბილისი

თავი VII – საქართველოს დედაქალაქის სტატუსი

მუხლი 63. საქართველოს დედაქალაქი და მისი სტატუსი;
მუხლი 64. თბილისის საკუთარი უფლებამოსილებები;
მუხლი 65. თბილისის ორგანოები;
მუხლი 66. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულები.

თავი VIII – თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო

მუხლი 67. თბილისის საკრებულო;
მუხლი 68. თბილისის საკრებულოს უფლებამოსილება;
მუხლი 69. თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
მუხლი 70. თბილისის საკრებულოს კომისიები;
მუხლი 71. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები.

თავი IX – თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა

მუხლი 72. თბილისის მერია;
მუხლი 73. თბილისის მერი;
მუხლი 74. თბილისის მთავრობა;
მუხლი 75. მთავრობის უფლებამოსილებები;
მუხლი 76. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები;
მუხლი 77. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები;
მუხლი 78. თბილისის ორგანოების საფინანსო კონტროლი და ზედამხედველობა;
მუხლი 79. საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება.

თავი X – თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო – თბილისის რაიონის გამგეობა

მუხლი 80. თბილისის რაიონის გამგეობა;
მუხლი 81. რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები;
მუხლი 82. რაიონის გამგებელი;
მუხლი 83. რაიონის გამგებლის მოადგილეები;
მუხლი 84. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები.

კარი IV – მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

თავი XI – მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

მუხლი 85. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები;
მუხლი 85^1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
მუხლი 85^2. დასახლების საერთო კრება;
მუხლი 85^3. დასახლების საერთო კრების უფლებამოსილება;
მუხლი 85^4. დასახლების საერთო კრების მოწვევის წესი;
მუხლი 85^5. დასახლების საერთო კრების საქმიანობის წესი;
მუხლი 86. პეტიცია;
მუხლი 86^1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
მუხლი 87. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
მუხლი 88. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

კარი V – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და ეკონომიკური საფუძვლები

თავი XII – მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 89. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
მუხლი 90. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა;
მუხლი 91. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება;
მუხლი 92. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები;
მუხლი 93. ადგილობრივი გადასახადისა და მოსაკრებლის განსაზღვრა და ადმინისტრირების წეს;ი
მუხლი 94. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის გამოსაყოფი ტრანსფერის სახეები;
მუხლი 95. გათანაბრებითი ტრანსფერი;
მუხლი 96. კაპიტალური ტრანსფერი;
მუხლი 97. მიზნობრივი ტრანსფერი;
მუხლი 98. სპეციალური ტრანსფერი;

მუხლი 99. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი;
მუხლი 100. მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღება და გრანტის მიღება;
მუხლი 101. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები;
მუხლი 102. დამოუკიდებლობა გადასახდელების მიმართულებების განსაზღვრისას;
მუხლი 103. შემოსავლების კომპენსირება.

თავი XIII – მუნიციპალიტეტის ქონება

მუხლი 104. თავის რეგულირების სფერო;
მუხლი 105. ტერმინთა განმარტება;
მუხლი 106. მუნიციპალიტეტის ქონება;
მუხლი 106[1]. მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირი;
მუხლი 107. მუნიციპალიტეტისთვის ამ კანონით მიკუთვნებული ქონება;
მუხლი 108. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა;
მუხლი 109. მუნიციპალიტეტის ქონებაზე საკუთრების უფლება;
მუხლი 110. მუნიციპალიტეტის მიერ ქონებრივი უფლებების განხორციელების ძირითადი პრინციპები

თავი XIV – მუნიციპალიტეტის ქონების შექმნა

მუხლი 111. მუნიციპალიტეტის ქონების შექმნის წყაროები;
მუხლი 112. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა;
მუხლი 113. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა;
მუხლი 114. სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონების რეგისტრაცია.

თავი XV – მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გადაცემა

მუხლი 115. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებითა და მართვის უფლებით გადაცემის რეგულირება და საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის განსაკუთრებული შემთხვევები;
მუხლი 116. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ქონების განკარგვისას;
მუხლი 117. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი;
მუხლი 118. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ფორმები;
მუხლი 118[1]. თბილისის ქონების პრივატიზების წესი;
მუხლი 118[2]. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების განსაკუთრებული პირობები;
მუხლი 119. აუქციონის გამოცხადება და ორგანიზება;
მუხლი 120. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმება და გარიგების ბათილობა;
მუხლი 121. მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების წესი;

მუხლი 122. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმები და წესი;
მუხლი 122[1]. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმები და წესი;
მუხლი 123. მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა;
მუხლი 124. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;
მუხლი 125. წილებისა და აქციების განკარგვის ფორმები;
მუხლი 126. წილებისა და აქციების აუქციონის სახეები;
მუხლი 126[1]. თბილისის საკუთრებაში არსებული წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით პრივატიზების წესი;
მუხლი 127. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემა;
მუხლი 127[1]. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოთხოვნებისა და უფლებების განკარგვა;
მუხლი 127[2]. პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შეცვლა ან გაუქმება;
მუხლი 128. მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის შედეგად შემოსული თანხები.

კარი VI – მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა და აუდიტი. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა

თავი XVI – მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა

მუხლი 129. სახელმწიფო ზედამხედველობის ცნება და სახეები;
მუხლი 130. სამართლებრივი ზედამხედველობისა და დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოები;
მუხლი 131. სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი და პრინციპი;
მუხლი 132. სამართლებრივი ზედამხედველობა;
მუხლი 133. დარგობრივი ზედამხედველობა;
მუხლი 134. დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვა;
მუხლი 134[1]. სარეკომენდაციო ინსტრუქცია;
მუხლი 135. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერება და გაუქმება;
მუხლი 136. ადგილობრივი თვითმმართველობის ჩანაცვლება;
მუხლი 137. სამართლებრივი კონსულტაცია;
მუხლი 138. სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს საქმიანობის საჯაროობა.

თავი XVII – მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტი

მუხლი 139. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

მუხლი 140. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო აუდიტი, დამოუკიდებელი აუდიტი და შიდა აუდიტი.

თავი XVIII – პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა. საკრებულოს დათხოვნა და მისი საქმიანობის შეჩერება, საკრებულოს და მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

მუხლი 141. საკრებულოს დათხოვნა და მისი საქმიანობის შეჩერება;
მუხლი 142. საკრებულოს და მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა;
მუხლი 143. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება;
მუხლი 144. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელება;
მუხლი 145. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ვადა.

კარი VII – სამხარეო საკონსულტაციო საბჭო

თავი XIX – სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სტატუსი და უფლებამოსილება

მუხლი 146. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სტატუსი;
მუხლი 147. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა;
მუხლი 148. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილება;
მუხლი 149. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის წესი.

კარი VIII – გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

თავი XX – გარდამავალი დებულებები

მუხლი 150. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები და უფლებამოსილების ვადა;
მუხლი 151. თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები;
მუხლი 152. მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაცია;
მუხლი 153. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები;
მუხლი 154. ბიუჯეტებს შორის შემოსულობების გამიჯვნა;
მუხლი 155. არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობის განსაზღვრა;
მუხლი 155[1]. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელი ღონისძიებები და შეზღუდვები
მუხლი 156. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი;
მუხლი 157. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლება;
მუხლი 158. ახალშექმნილი მუნიციპალიტეტების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
მუხლი 159. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა;
მუხლი 160. მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების დასადგენად კარტოგრაფიული მასალების მომზადების უზრუნველყოფა;

მუხლი 161. სამართლებრივი აქტების მოქმედება გარდამავალ პერიოდში;

მუხლი 162. მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადები;

მუხლი 163. მუნიციპალიტეტის მიერ სასმელი წყლის მიწოდებისა და წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფის უფლებამოსილებათა განხორციელების პირობები;

მუხლი 163[1]. მუნიციპალიტეტში სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფის დროებითი წესი;

მუხლი 163[2]. აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შეცვლის ან გაუქმების წესი;

მუხლი 164. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

მუხლი 165. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი სხვა ღონისძიებები.

თავი XXI – დასკვნითი დებულებები

მუხლი 166. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული ნორმატიული აქტები;

მუხლი 167. კანონის ამოქმედების წესი.

საქართველოს პრეზიდენტი
გიორგი მარგველაშვილი
ქუთაისი,
5 თებერვალი, 2014 წ.
N1958-IIს

3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გაფართოებული ამონარიდი

(რიგი მუხლებისა წარმოდგენილია უფრო ფართოდ, ვიდრე მოსწავლის სახელმძღვანელოში)

საქართველოს ორგანული კანონი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

(2018 წლის 1 ივლისის მდგომარეობით)

ამონარიდი

კარი I – ადგილობრივი თვითმმართველობა

თავი I – ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან; აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება

1. ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები;

2. თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ მუნიციპალიტეტის ორგანოები), რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

მუხლი 3. მუნიციპალიტეტები თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში;

2. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი;

3. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.

მუხლი 4. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული

1. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია:

ა) სოფელი — დასახლება, რომლის საზღვრებშიც, ძირითადად, მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა — დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;

გ) ქალაქი დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ანდა ის ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

2. დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

3. მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. თვითმმართველ თემში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე დასახლების ტერიტორიას ემთხვევა. თვითმმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული დასახლების ნაწილია;

4. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის მერის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, დადგენილებით იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და დათქმები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, სა-ქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმების გათვალისწინებით;

3. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხები განისაზღვრება შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება არ ვრცელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე.

მუხლი 6. საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების უფლება

1. საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიები

1. სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს;

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები;

3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც შეეხება ამ კანონით დადგენილ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, წინასწარი კონსულტაციები გამართონ იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომლებიც ქვეყნის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტს აერთიანებენ;

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების გასასაჩივრებლად, რომლებიც ზღუდავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებას;

5. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე1 თავთან მიმართებით ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განსახილველად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგე-

ნის თაობაზე გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით;

6. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები

1. მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა. მას შეიძლება ჰქონდეს სხვა სიმბოლოებიც;

2. მუნიციპალიტეტის გერბს, დროშას და სხვა სიმბოლოებს, მათი გამოსახვის ფორმებსა და აღწერილობებს საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. სავალდებულოა მუნიციპალიტეტის სიმბოლოების სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. მუნიციპალიტეტის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენა

მუნიციპალიტეტის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა.

თავი III – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეები

1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია:

ა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები;

ბ) მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები.

2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.

3. მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები

1. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე;

2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცე-

ბულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა კანონით დადგენილი წესით;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ე) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;

ზ) მუნიციპალური ნარჩენების მართვა;

თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;

ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი[1]) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ი2) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;

ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ო) შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით;

პ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული

ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება კანონით დადგენილი წესით;

ჟ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

რ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ს) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

ტ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

უ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ფ) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;

ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით;

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

მუხლი 17. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები

1. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია.

2. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებ-

ლო აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, აგრეთვე საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს.

5. უფლებამოსილებების დელეგირებისას იმავე აქტით უნდა განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას გაუწევს.

მუხლი 18. სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში

ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ, მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტით დაადგინონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები.

მუხლი 19. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმები და მექანიზმები

მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) იღებენ/გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ბ) შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს;

გ) ახორციელებენ შესყიდვებს;

დ) დებენ ხელშეკრულებებს;

ე) იძენენ და ქმნიან მუნიციპალიტეტის საკუთრებას;

ვ) ფლობენ და განკარგავენ მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, სარგებლობენ ამ ქონებით, აგრეთვე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის და სხვა პირების ქონებით;

ზ) აფუძნებენ და მართავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;

თ) იღებენ სესხს;

ი) ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას;

კ) მომსახურების ხარისხისა და მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვასა და განვითარებას;

ლ) ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 21. მუნიციპალიტეტების უფლება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების ორგანიზებაზე

1. მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევის მიზნით, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად დააფუძნონ ამ კანონით გათვალისწინებული ერთობლივი კერძო სამართლის იურიდიული

პირი ან გახდნენ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორები/აქციონერები/დამფუძნებლები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრები. მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით შექმნან ერთობლივი სამსახური.

მუხლი 22. მუნიციპალიტეტის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან „ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი II – მუნიციპალიტეტის ორგანოები

თავი IV – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო

მუხლი 24. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის სფეროში:

ა.ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობების წარდგენა;

ა.გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების) დადგენა;

ა.დ) მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენა;

ა.ე) ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება;

ბ) ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

ბ.ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება;

ბ.ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება;

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

ბ.დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა, კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება, კომისიის პერსონალური შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება და მათში ცვლილების შეტანა;

ბ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა და გაუქმება, დრო-

ებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

ბ.ვ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება;

ბ.ზ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში მუნიციპალიტეტის/საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნა;

ბ.თ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით სათათბირო ორგანოების (საბჭო, კომიტეტი და სხვა) შექმნა და მათი საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში:

გ.ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

გ.ბ) ამ კანონის შესაბამისად მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება;

გ.გ) ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;

დ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:

დ.ა) ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება;

დ.ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

დ.გ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს;

დ.დ) „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ოდენობით მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება;

დ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების და მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

ე.ა) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;

ე.გ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული

ფასის დადგენა, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესების დადგენა;

ე.დ) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება;

ე.ე) ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ე.ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის დადგენა.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება აგრეთვე ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

3. თუ ეს კანონი ან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის პასუხისმგებელ მუნიციპალიტეტის ორგანოს, აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალებით მუნიციპალიტეტის მერი.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის უფლებამოსილება, რომელიც ამ კანონით ან საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულია, როგორც მუნციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება, არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს, თუ კანონი უშუალოდ არ ითვალისწინებს მისი გადაცემის შესაძლებლობას.

მუხლი 26. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის წესი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც იწვევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წინადადებით;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტის მოთხოვნით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იწვევს რიგგარეშე სხდომას. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ერთი კვირის ვადაში არ მოიწვევს რიგგარეშე სხდომას, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ პირის თანამდებობაზე არჩევის, თანამდებობიდან გადაყენების და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტისას.

მუხლი 32. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე;

ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 34. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 40. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობების შესრულებისას შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა დაუშვებელია.

5. თავისუფალი მანდატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

8. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, იმავდროულად, შეიძლება იყოს სხვა კომისიის შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა.

9. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დამსაქმებელს უფლება არ აქვს, შეზღუდოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლება, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მისი კომისიის, ფრაქციის და დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს შეთანხმებას აღნიშნული საფუძვლით დასაქმებულის უფლების შეზღუდვის შესახებ, ბათილია. დაუშვებელია ამ საფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლება, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ან სხვაგვარი დისკრიმინაცია.

მუხლი 44. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმებია:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირება;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;

ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები.

მუხლი 47. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან მოიცავს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

ბ) მოქალაქეთა მიღებას;

გ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობას;

დ) გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებას.

თავი V – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო

მუხლი 48. მერი

1. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

მუხლი 49. მერის არჩევა

1. მერი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით.

2. მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც.

მუხლი 50. მერია

მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი. მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან. მერიის სტრუქტურული ერთეული შესაბამისი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერის დავალებების შესრულებას. მერიის სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ქვედანაყოფები, რომლებიც განისაზღვრება მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და საშტატო ნუსხით.

მუხლი 52. მერიის თანამდებობის პირები

1. მერიის თანამდებობის პირები არიან:

ა) მერი;

ბ) მერის პირველი მოადგილე;

გ) მერის მოადგილე;

დ) მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

კარი III – საქართველოს დედაქალაქი თბილისი

თავი VII – საქართველოს დედაქალაქის სტატუსი

მუხლი 64. თბილისის საკუთარი უფლებამოსილებები

თბილისის საკუთარი უფლებამოსილებებია:

ა) ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები;

ბ) გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური ... ობიექტის სახელდება;

დ) მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების მართვა;

ე) ჩამდინარე წყლების გასუფთავება და უტილიზაცია.

მუხლი 65. თბილისის ორგანოები

თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოს და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით.

თავი VIII – თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო

მუხლი 67. თბილისის საკრებულო

თბილისის საკრებულო არის თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის წევრთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

თავი IX – თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა

მუხლი 72. თბილისის მერია

1. თბილისის მერია (თბილისის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და თბილისის რაიონების გამგეობები) არის თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას.

2. თბილისის მერიის თანამდებობის პირები არიან: თბილისის მერი, თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილე, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და თბილისის რაიონის გამგებელი.

მუხლი 74. თბილისის მთავრობა

1. თბილისის მთავრობა (შემდგომ — მთავრობა) არის კოლეგიური აღმასრულებელი ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

2. მთავრობა შედგება თბილისის მერის, მისი პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან (გარდა თბილისის მერიის სისტემაში შემავალი, კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა) და თბილისის რაიონების გამგებლებისგან.

კარი IV – მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

თავი XI – მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

მუხლი 85. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

ა) დასახლების საერთო კრება;

ბ) პეტიცია;

გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;

ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

5. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორ-

ციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 85[1]. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის საჯაროობასთან, მათ შორის, კოლეგიური ორგანოს სხდომის საჯაროობასთან, და საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და მათ საფუძველზე მიღებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია. მუნიციპალიტეტის ორგანოები აგრეთვე ვალდებული არიან, ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე მთავრობის სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

ბ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში;

გ) დასახლების საერთო კრების ოქმები, მერიის მიერ შესაბამისი ოქმის ან მისი ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში;

დ) ამ კანონის შესაბამისად, ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;

ე) საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

ვ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;

ზ) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;

თ) მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა, მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში;

ი) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშები, შესაბამისი ანგარიშის წარდგენიდან 10 დღის ვადაში;

კ) პეტიცია, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში;

ლ) ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ინიციატივა, მისი რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ქვეყნდება ან/და საჯაროდ ცხადდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად ან/და ქვეყნდება პროაქტიულად.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შესაბამისი გადაწყვეტილებით გააფართოოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ან/და საჯაროდ გამოსაცხადებელი ან/და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.

მუხლი 85[2]. დასახლების საერთო კრება

1. დასახლების საერთო კრება (შემდგომ — საერთო კრება) არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიციირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

2. საერთო კრების სახელწოდება შედგება შესაბამისი დასახლების კატეგორიის დასახელებისგან („სოფელი“/„დაბა“/„ქალაქი“), დასახლების სახელწოდებისგან და ზოგადი სახელწოდებისგან („საერთო კრება“).

3. საერთო კრების წევრია შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. საერთო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე შესაბამისი დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირს.

4. ეს კანონი განსაზღვრავს საერთო კრების უფლებამოსილებებს, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესს იმ დასახლებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება.

5. იმ დასახლებისთვის, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს აღემატება, შეიძლება დაწესდეს საერთო კრების დასახლების ცალკეულ ნაწილებში ეტაპობრივად მოწვევის პროცედურა. საერთო კრების დასახლების ნაწილებში გამართვისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ კანონის 855 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

6. იმ დასახლებაში, რომელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საერთო კრების უფლებამოსილებები, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესი განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, აგრეთვე ამ დასახლებაში შექმნას რამდენიმე საერთო კრება და, ამ კანონის გათვალისწინებით, განსაზღვროს მათი უფლებამოსილებანი, სახელწოდებები და საქმიანობის წესი.

7. საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს.

8. საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს.

9. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მომდევნო საერთო კრების შეკრებამდე ვადით. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება, თუ მომდევნო საერთო კრება საერთო კრების ახალ რჩეულს არ აირჩევს. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად შეიძლება გაგრძელდეს ზედიზედ არაუმეტეს 5-ჯერ.

10. საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

მუხლი 85³. დასახლების საერთო კრების უფლებამოსილება

1. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

ბ) განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;

გ) განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;

დ) ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში და სხვა იმ სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;

ვ) მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

ზ) მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს წარდგინებით განიხილოს დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები;

თ) განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრებაზე ინიციირებული საკითხი;

ი) უფლებამოსილების ფარგლებში დავალებები მისცეს საერთო კრების რჩეულს;

კ) განახორციელოს ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

2. საერთო კრებაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული წინადადება, შენიშვნა, დავალება საერთო კრების გადაწყვეტილების სახით ფორმდება საერთო კრების ოქმით.

3. საერთო კრების გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს რეაგირებისთვის წარედგინებათ ამ კანონის 855 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი ამ კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრებს ან საერთო კრების რჩეულს.

4. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხების საერთო კრებისთვის განსახილველად წარდგენა.

მუხლი 85[4]. დასახლების საერთო კრების მოწვევის წესი

1. საერთო კრების მოწვევის ინიციირების უფლება აქვთ:

ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;

ბ) მუნიციპალიტეტის მერს — საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით;

გ) საერთო კრების რჩეულს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის ინიციირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არანაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში). განცხადებას თან უნდა ერთოდეს საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები და საერთო კრების დღის წესრიგი. საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხები საინიციატივო ჯგუფმა კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს.

3. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს მერია. საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობისა და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაცია და საერთო კრების დღის წესრიგი, ამ კანონის 851 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჯაროდ ქვეყნდება.

5. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ან/და საერთო კრების უფლებამოსილებას.

6. საინიციატივო ჯგუფის წევრს უფლება აქვს, რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი გაასაჩივროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

7. საინიციატივო ჯგუფი საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის შედგენას იწყებს რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან. სიაში მიეთითება შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა. სიის ყოველ ფურცელს ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრი.

8. რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში). განცხადებას თან ერთვის ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით შეგროვებული, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერები.

9. საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის დღიდან არაუადრეს მე-15 დღე.

10. საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ცნობის მიღების შემთხვევაში. რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი

განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები. რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

11. საერთო კრების დღის წესრიგის და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია ამ კანონის 851 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში.

12. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას მერიის მიერ რეგისტრაცია არ ესაჭიროება. აღნიშნულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება ამ მუხლის მე-8—მე-11 პუნქტებით დადგენილი წესით, გარდა საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის წარდგენის პროცედურისა.

13. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის ინიციირება ხდება ამ მუხლის მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის პროცედურას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის მერს უფლება არ აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საერთო კრების რჩეულის არჩევის საკითხი.

14. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ.

15. საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, მათ შორის, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შესაბამის დასახლებაში გავრცელებას, უზრუნველყოფენ მერია და საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე საერთო კრების რჩეული (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 85[5]. დასახლების საერთო კრების საქმიანობის წესი

1. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%. საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საინიციატივო ჯგუფი ან/და მერიის უფლებამოსილი მოხელე ან/და საერთო კრების წევრები. რეგისტრაციისას მიეთითება საერთო კრების წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა.

2. საერთო კრების ამ კანონის 854 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების საქმიანობას წარმართავს საინიციატივო ჯგუფის ის წევრი, რომლის ხელმოწერაც შესაბამის განცხადებაში პირველია მითითებული, ხოლო მისი არყოფნისას — საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრი ან საინიციატივო ჯგუფის თანხმობით — მერიის უფლებამოსილი მოხელე. საერთო კრების ამ კანონის 854 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების საქმიანობას წარმართავს მერიის უფლებამოსილი მოხელე. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, საერთო კრების საქმიანობას წარმართავს საერთო კრების რჩეული.

3. საერთო კრების ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საერთო კრების მდივანი. საერთო კრების ამ კანონის 854 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების მდივნის ფუნქციას ასრულებს საინიციატივო ჯგუფის წევრი, ხოლო ამ კანონის 854 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში — მერიის უფლებამოსილი მოხელე. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, საერთო კრების მდივნის ფუნქციას ასრულებს საერთო კრების რჩეული ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს კენჭისყრის სხვა ფორმა. საერთო კრების ეტაპობრივად, დასახლების ცალკეულ ნაწილებში გამართვისას ჯამდება საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ყველა ხმა, თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

5. საერთო კრებაზე დგება საერთო კრების ოქმი. საერთო კრების ოქმში მითითებული უნდა იქნეს საერთო კრების გამართვის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, საერთო კრების მიერ განხილული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება, საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რაოდენობა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია. საერთო კრების ოქმს ხელს აწერენ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პირები. საერთო კრების ოქმის ასლის მერიაში წარდგენას უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი საერთო კრების გამართვიდან 7 დღის ვადაში.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილებით ამტკიცებს საერთო კრების ტიპურ დებულებას. საერთო კრების ტიპური დებულებით ამ კანონის შესაბამისად განისაზღვრება საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, საერთო კრების დასახლების ნაწილებში გამართვის, საერთო კრებაზე საკითხების ინიციირების, მათი განხილვისა და კენჭისყრის გამართვის პროცედურა, საერთო კრების მდივნისა და საერთო კრების რჩეულის უფლებები და მოვალეობები, საერთო კრების რჩეულის არჩევის პროცედურა. ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად საერთო კრების ტიპური დებულებით შეიძლება აგრეთვე განისაზღვროს საერთო კრების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მუხლი 86. პეტიცია

1. პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;

ბ) საერთო კრებას.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.

3. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.

4. პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:

ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

5. პეტიცია უნდა შეიცავდეს:

ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს;

ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა) სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) პეტიციის წარდგენის თარიღს;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში — შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას;

ე) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში — ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში — მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს;

ვ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში — კონკრეტულად ჩამოყალიბებულ მოთხოვნას და შესაბამის დასაბუთებას.

6. შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელს, გვარს, დაბადების თარიღს (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერას.

7. პეტიციას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. იგი უზრუნველყოფს პეტიციის ამ კანონის 851 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებას.

8. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს პეტიციის რეგისტრაციის მოწმობა ეძლევა/ეძლევათ მისი რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები ან/და პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას.

9. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელს/მომხსენებლებს უფლება აქვს/აქვთ, რეგისტრაციაში გატარებაზე უარი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს/გაასაჩივრონ სასამართლოში.

10. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პეტიციას მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

11. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ პეტიციის გადაგზავნიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პეტიციის შესასწავლად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ ან პეტიციას უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას.

12. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ან სამუშაო ჯგუფი პეტიციას ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესით მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პეტიციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადების მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე;

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიციის შესწავლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად წარდგენის თაობაზე;

გ) პეტიციის განხილვის მიზანშეუწონლად მიჩნევის თაობაზე.

13. ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განსახილველად წარედგინება შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამისი დადგენილების პროექტს განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებისათვის ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

15. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში მზადდება პეტიციის შესახებ დასკვნა და პეტიცია დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას. მუნიციპალიტეტის საკრებულო პეტიციასთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 1 თვის ვადაში.

16. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 15 დღის ვადაში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის ინფორმაციას ცნობად იღებს ან არ ეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის ან სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებას და იღებს სხვა, შესაბამის გადაწყვეტილებას.

17. ამ მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტებით განსაზღვრული ვადები მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

18. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია განიხილოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად გადაგზავნილი პეტიცია და განხილვის შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ეს ვადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს თანხმობით შეიძლება 1 თვით გაგრძელდეს.

19. მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაზე პეტიციას წარადგენს/წარადგენენ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს/საკრებულოს კომისიის/სამუშაო ჯგუფის სხდომაში ამ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს/მონაწილეობენ პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებელი/მომხსენებლები.

20. ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის მერს მოსთხოვოს პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ანგარიშის ან/და პეტიციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პირადად წარდგენა.

21. პეტიციის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულო შესაბამის გადაწყვეტილებას მიღებიდან 10 დღის ვადაში აცნობებს პეტიციის წარმდგენ სუბიექტს, გარდა ამ მუხლის 22-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

22. თუ პეტიცია საერთო კრების მიერ არის წარდგენილი, პეტიციის განხილვის შედეგების შე-სახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაბამისმა მოსამსახურეებმა საერთო

კრებას უნდა წარუდგინონ უშუალოდ – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში ან/და უნდა წარუდგინონ საერთო კრების რჩეულს – შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

23. პეტიციის რეგისტრაციასთან, ხელმოწერების შემოწმებასთან და პეტიციის განხილვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები ამ მუხლის შესაბამისად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

24. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, ამ მუხლის ნორმების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვროს პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის წესი.

მუხლი 86[1]. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ კანონის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

3. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

4. რაიონის გამგებლის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რაიონის გამგებელი.

5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.

მუხლი 87. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის მოსმენის საშუალებას მისცემს.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.

მუხლი 88. მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

1. მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას.

3. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება.

კარი VI – მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა და აუდიტი. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა

თავი XVI – მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა

მუხლი 129. სახელმწიფო ზედამხედველობის ცნება და სახეები

1. სახელმწიფო ზედამხედველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერების და დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფა.

2. სახელმწიფო ზედამხედველობის სახეებია: სამართლებრივი ზედამხედველობა და დარგობრივი ზედამხედველობა.

3. სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

4. დარგობრივი ზედამხედველობა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების კანონიერ და ჯეროვან განხორციელებას.

სასარგებლო რესურსები 3

თავი XII. საქართველოს პარლამენტის არჩევნები

მუხლი 109. საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა

1. საქართველოს პარლამენტის 77 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 73 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

2. საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 111. პასიური საარჩევნო უფლება

1. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა.

2. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.

3. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკის მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნოს მისი უფლებამოსილება.

თავი XV. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები

მუხლი 134. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

2. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

3. საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერი.

მუხლი 135. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის უფლებამოსილებათა ვადები

1. მორიგ არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

2. საკრებულოს ახალი შემადგენლობის უფლებამოსილება იწყება, ხოლო ძველისა წყდება ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე.

4. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის ახალარჩეული მერის უფლებამოსილება იწყება, ხოლო ძველი მერის უფლებამოსილება წყდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენიდან (მერის არჩეულად გამოცხადებიდან) მე-11 დღეს.

ტერმინთა ანბანური ლექსიკონი

ანგარიშვალდებულება

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება. ეს არის გზა, რომლითაც მოსახლეობა მთავრობის საქმიანობას აფასებს.

ანგლოსაქსური ქვეყნები

ინგლისურენოვანი ქვეყნები: აშშ, ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა და სხვა.

არჩევნები

საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისა (პარლამენტი, საკრებულო) და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა (მერი) არჩევა კენჭისყრით.

აღმასრულებელი ორგანო

ხელისუფლების შტო, რომელიც აღასრულებს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს საჯარო მომსახურების სფეროში.

აქტიური საარჩევნო უფლება

მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით აირჩიოს საჯარო ხელისუფლების არჩევითი ორგანოები და თანამდებობის პირები.

ბენეფიციარები

ადამიანთა ჯგუფი, რომელიც უშუალოდ მიიღებს სარგებელს ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებით (მაგალითად, საპენსიო სისტემის ბენეფიციარები არიან პენსიონერები, საავადმყოფოებისა – პაციენტები, ახალგაზრდული ბანაკებისა – ახალგაზრდები).

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გაერო (United Nations Organization, UNO; შემოკლებით – United Nations, UN) – საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წელს. საქართველო გაეროს წევრი გახდა 1992 წელს, 1993 წელს კი გაიხსნა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისი. საქართველოში ასევე მოქმედებს გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), რომელიც საქართველოს ეხმარება ბავშვთა დაცვის, ჯანმრთელობისა და განათლების სფეროებში სახელმწიფო სოციალური რეფორმის განხორციელებაში.

გაზეთი

(იტალ. Gazzeta) გარკვეული ინტერვალით, რეგულარულად გამომავალი გამოცემა, რომელიც მოიცავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ახალ ამბებს, სტატიებს სხადასხვა თემაზე, ასევე სარედაქციო სტატიებსა და რეკლამას.

გუბერნატორი

ცენტრალური ხელისუფლების რწმუნებული მუნიციპალიტეტთა გარკვეულ ჯგუფში (მაგალითად, ისტორიული გურიის ტერიტორიაზე – რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში)

დასავლეთის ქვეყნები

იგულისხმება დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები.

დემოკრატია

(ბერძ. ხალხის მმართველობა) პოლიტიკური რეჟიმის პროგრესული ფორმა, რომელიც დამყარებულია „უმრავლესობის მმართველობაზე“.

- ***პირდაპირი დემოკრატია*** *– დემოკრატიული მმართველობის ფორმა, როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა მოქალაქე უშუალოდაა ჩართული.*
- ***წარმომადგენლობითი დემოკრატია*** *– დემოკრატიული მმართველობის ფორმა, როცა მოქალაქენი ირჩევენ წარმომადგენლებს, თავიანთ რჩეულებს (პარლამენტი, საკრებულო) და მათ მიანდობენ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას, ხოლო თვითონ, არჩევნების მეშვეობით, აკონტროლებენ თავიანთი წარმომადგენლების მუშაობას.*

დემოკრატიული სახელმწიფო

სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიულ მმართველობაზე.

დეცენტრალიზაცია

მმართველობის სისტემა, როდესაც საჯარო ხელისუფლების რიგი ფუნქციების განხორციელების უფლება გადაეცემა თვითმმართველობის ორგანოებს.

თვითმმართველი ერთეული (მუნიციპალიტეტი)

ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალური სახელწოდება საქართველოს კანონმდებლობით. თვითმმართველი ერთეული ორი სახისაა – თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი.

თვითმმართველი თემი

რამდენიმე დასახლების (ურბანული – ქალაქისა და დაბის და რურალური – სოფლის) ერთობლიობა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი (2006 წლამდე მათ რაიონები ეწოდებოდათ). თემის ცენტრი შეიძლება იყოს ისეთი ქალაქი, რომელსაც თვითმმართველი ქალაქის სტატუსი არ აქვს.

თვითმმართველი ქალაქი

ურბანული (ქალაქური) ტიპის დასახლება, რომელიც ორიენტირებულია ქალაქებისათვის დამახასიათებელი საკითხების გადაჭრაზე და რომელსაც თვითმმართველობის კოდექსმა მიანიჭა მუნიციპალიტეტის სტატუსი.

თვითმმართველობა

ევროპული ქარტიის თანახმად, არის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება და შესაძლებლობა, კანონის ფარგლებში მოაწესრიგოს და მართოს საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

იერარქიულობა

(იერარქია – ბერძ. წმინდა მმართველობა) მართვის პრინციპი სახელისუფლებო სტრუქტურებში. დაბალი სახელისუფლებო ორგანოების დაქვემდებარების წესი უფრო მაღალი სახელისუფლებო ორგანოებისადმი.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

პარლამენტისა და საკრებულოს წევრების არჩევნები ერთმანდატიანი ან მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

მაუწყებელი

საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, ლიცენზიის მფლობელი ან ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პირადი სარედაქციო პასუხისმგებლობით ახორციელებს საკუთარი სამაუწყებლო ბადით გათვალისწინებული პროდუქციის გადაცემას ისე, რომ სამაუწყებლო ბადით განსაზღვრული დროის განმავლობაში მაყურებლებისთვის/ მსმენელებისთვის ერთდროულად ხელმისაწვდომია.

მუნიციპალიტეტი

თვითმმართველი ერთეულის სახელწოდება საქართველოს კანონმდებლობით.

ორგანული კანონი

კანონებთან მიმართებაში მოქმედებს შემდეგი იერარქია: კონსტიტუცია/კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური შეთანხმება, საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება; ორგანული კანონი, „ჩვეულებრივი“ კანონი. ქვედა დონის კანონი წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს მის მაღლა მდგომ კანონებთან.

(„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7).

ორგანული კანონი მიიღება ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროების დასარეგულირებლად, რომელიც კონსტიტუციით არის განსაკუთრებულად მიჩნეული და კონსტიტუციაშივეა ასეთი კანონის მიღება მითითებული, განსხვავებით ჩვეულებრივი კანონებისაგან, ორგანული კანონის როგორც მიღება, ისე შეცვლა გართულებულია. მაგალითად, თუ ჩვეულებრივი კანონი შეიძლება მიიღოს უბრალო უმრავლესობამ (150 დეპუტატიდან 100 ესწრებოდა განხილვას და მათგან 60-მა მხარი დაუჭირა კანონს), ორგანული კანონის გახილვის პროცესი ვადებშია გაწელილი და მის მიღებას სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი უნდა უჭერდეს მხარს (150-დან 76 დეპუტატი მაინც).

პასიური საარჩევნო უფლება

პასიური საარჩევნო უფლება – მოქალაქის უფლება, თავად იყაროს კენჭი საჯარო ხელისუფლების არჩევითი თანამდებობის დასაკავებლად.

პეტიცია

მუნიციპალიტეტის:

- *რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი პროცენტის ან*
- *კონკრეტული დასახლების საერთო კრების*

უფლება, მოამზადოს და საკრებულოს წარუდგინოს რომელიმე აქტუალური საკითხის გადაჭრის პროექტი. საკრებულო ვალდებულია, ერთი თვისა და ერთი კვირის ვადაში განიხილოს იგი. განხილვაში მონაწილეობისა და მოხსენებით გამოსვლის უფლება პეტიციის ინიციატორებსაც აქვთ.

პოლისი

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო.

პროდიუსერი

(ინგ. Producer) – აქ: პირი, რომელიც ტელევიზიის/რადიოს ახალი ამბების სამსახურში ხელმძღვანელობს ახალი ამბების დაგეგმვისა და მომზადების პროცესს და პასუხისმგებელია ახალი ამბების გამოშვებაზე.

პროპორციული საარჩევნო სისტემა

პროპაგანდა (ლათ. Propaganda – გასავრცელებელი) – ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნე-ბისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით.

პარლამენტისა და საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე.

ჟურნალისტი

ადამიანი, რომელიც მოიპოვებს, ამუშავებს და ავრცელებს ინფორმაციას. თანამედროვე ეპოქაში, აღარ არის აუცილებელი, ჟურნალისტი იყოს რომელიმე მედიასაშუალების თანამშრომელი, მას შეუძლია იმუშაოს დამოუკიდებლად.

ჟურნალისტიკა

საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროა. მისი მიზანია აქტუალური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გავრცელება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. ტერმინი „ჟურნალისტიკა“ წარმოიშვა ფრანგული სიტყვიდან „Journal“ (დღიური, გაზეთი, პერიოდული გამოცემა), რომელიც თავის მხრივ ლათინურიდან მომდინარეობს. თავდაპირველად ის მხოლოდ ბეჭდურ მედიას გულისხმობდა, გაზეთებს, ჟურნალებს, სხვადასხვა გამოცემას. დროთა განმავლობაში, ტერმინი გაფართოვდა და დღეისთვის ჟურნალისტიკის ფართო სპექტრს მოიცავს.

რატიფიკაცია

(რატიფიცირება) – სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება, რომელიც ხელმოწერილია ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

რედაქტორი

(ფრ. Rédacteur) – 1. პირი, რომელიც წიგნის, ჟურნალის, გაზეთის გამოცემას ხელმძღვანელობს, მის შინაარსს ამტკიცებს. 2. პირი, რომელიც გამოსაქვეყნებლად ამუშავებს ინფორმაციას – შინაარსობრივად, სტილისტურად გამართავს და გრამატიკულად ასწორებს ტექსტს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეების დამოკიდებულებისა თუ პოზიციის გარკვევა; თუმცა, ეს ტერმინი ამომრჩეველთა გამოკითხვის აღსანიშნავადაც გამოიყენება. მედია გამოკითხვებს სხვადასხვა საკითხისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გასაშუქებლად იყენებს, ხოლო პარტიები – პოლიტიკური განწყობილებების დასადგენად. ამდენად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა არაოფიციალურ რეფერენდუმადაც შეიძლება ჩაითვალოს.

საკონსტიტუციო სასამართლო

სასამართლო, რომელიც განიხილავს კანონის შესაბამისობას კონსტიტუციასთან, მაგალითისათვის: თუ თქვენ თვლით, რომ დაგაზარალათ ვინმემ (კამათი გაქვთ კერძო პირთან, რომელიმე ორგანიზაციასთან ან სახელმწიფო დაწესებულებასთან), თქვენი უფლების დასაცავად მიმართავთ ჩვეულებრივ სასამართლოს, რათა მან კანონის შესაბამისად გადაწყვიტოს, რომელი მხარეა მართალი.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ თავად კანონი გავიწროებთ (ანუ კანონი ეწინააღმდეგება იმ უფლებებს, რაც კონსტიტუციით გაქვთ გარანტირებული), თქვენ მიმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა მან გაარკვიოს, მართლა ეწინააღმდეგება თუ არა კანონი კონსტიტუციას. თუ ეს ასე აღმოჩნდა, მაშინ ასეთი კანონი უნდა შეიცვალოს.

სამიტი

მრავალმხრივი საერთაშორისო შეხვედრა და თათბირი უმაღლეს დონეზე.

საჯარო ინფორმაცია

ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის: ნახაზი, მაკეტი, სქემა, გეგმა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში მიღებული, დამუშავებული, შექმნილი, დაცული ან გაგზავნილი ინფორმაცია. ყველას შეუძლია გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციას, თუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოს. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა.

საჯარო მომსახურება

მომსახურება და პროდუქტი, რომლის აუცილებლობა განპირობებულია საზოგადოების საჭიროებებით და რომლის მიწოდებაც ხელეწიფება მხოლოდ საჯარო (ადგილობრივ ან ცენტრალურ) ხელისუფლებას. საჯარო მომსახურება ისეთ სფეროებს მოიცავს, რომელიც საზოგადოდ ყველასათვის ქმნის სარგებელს (გზების გაყვანა, განათება, სასმელი წყლით მომარაგება, სკოლების შექმნა და საქმიანობა, მოქალაქეთა უსაფრთხოება და ა.შ.)

სეგრეგაცია

დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა. ნიშნავს კანონის ან წეს- ჩვეულების საფუძველზე ეთნიკური ჯგუფების განცალკევებას; გარკვეული ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის იზოლაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, დამაბრკოლებელი სამართლებრივი ან ფაქტობრივი შეზღუდვების შეფარდება ამ ჯგუფების წევრებისათვის; სპეციალური დასახლების პუნქტებში მოთავსება, გადაადგილების შეზღუდვა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დაბალ საფეხურზე იძულებით შეკავება, განათლების სფეროში განცალკევებული სწავლების შემოღება და სხვ.

სუბსიდიაროგბა

თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის მიხედვითაც უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან.

ფარული კენჭისყრა

არჩევნების ჩატარება ბიულეტენებით, როცა ამომრჩევლები სხვისაგან ფარულად შემოხაზავენ თავისთვის სასურველი კანდიდატის სახელს.

ქარტია

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი დოკუმენტის სახელწოდება – დეკლარაციის სინონიმი.

შუამდინარეთი

ტერიტორია მდ. ტიგროსსა და ევფრატს შორის, დღევანდელი ერაყი.

შუმერი

უძველესი ქვეყანა სამხრეთ შუამდინარეთის ტერიტორიაზე.

ცენტრალიზაცია

მმართველობის ერთ ცენტრში თავმოყრა – ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.

ცენზურა

(ლათ. censura) – ხელისუფლების მეთვალყურეობა ნაბეჭდ პროდუქციაზე, სასცენო დადგმებზე, რადიო და ტელეგადაცემებზე, ხოლო ზოგჯერ კერძო მიმოწერის შემოწმება, რათა არ დაუშვან ან შეზღუდონ ხელისუფლებისათვის მიუღებელი ინფორმაციის გავრცელება. დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა აღიარებს ინფორმაციის თავისუფლებას და კრძალავს ცენზურას.

წარმომადგენლობითი ორგანო

სტრუქტურა, სადაც მოქალაქეები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს, რომლებმაც უნდა დაადგინონ ე.წ. „თამაშის წესები“ და აკონტროლონ აღმასრულებელი შტოს მიერ წარმოებული საქმიანობა.

ჰერალდიკა

გერბთმცოდნეობა; გერბის შედგენა და განმარტება

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია;
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
4. საქართველოს ორგანული კანონი – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
5. საქართველოს საარჩევნო კოდექსი;
6. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ;
7. ბავშვის უფლებათა კონვენცია;
8. „ადგილობრივი დემოკრატიის გზამკვლევი საქართველოსთვის“ – ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში, 2004;
9. ბერტრანი კლოდ-ჟან, „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები – La Deontologie des Medias“, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი 2004;
10. ერობა, თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში, 1918, ტომი I, თბილისი, 2017, https://www.scribd.com/document/355542506/
11. ლოსაბერიძე დავით, „ხალხთან ახლოს, მეტი შემოსავლებით, მეტი უფლებებით — თვითმმართველობის 100 წლის წინანდელი რეფორმის საუკეთესო ისტორია“, http://droa.ge/?p=26188
12. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი;
13. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების ელექტრონული ლექსიკონი;
14. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;
15. საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიშები – 2005, 2006, 2007, 2008, 2009-2010, 2011-2012, 2013-2014, 2016-2017 წლები, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“;
16. ჭავჭავაძე ილია, პუბლიცისტიკა, „ერი და ისტორია“;
17. ხმალაძე ვახტანგ, „ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: წარსული, თანამედროვეობა, ტენდენცია“ – გაეროს პროგრამა, საქართველო, თბილისი, 1997.